სსიპ გორის სახელწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თამარ ტერმაკოზაშვილი

შიდა ქართლის პრობლემატიკა ცენტრალურ გაზეთებში
(„საქართველოს რესპუბლიკა“, „ალია“, „კვირის პალიტრა“)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე,
სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: იოსებ ჭუმბურიძე,
ასოცირებული პროფესორი

გორი
2019

ანოტაცია

შიდა ქართლი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სენსიტიური რეგიონია. ქვეყნისთვის დამახასიათებელ პრობლემათაგან მას ყველაზე მნიშვნელოვანი აწუხებს - ოკუპაცია. მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი ანექსირებულია ჩვენი მეზობელი და ,,მეგობარი" რუსეთის მიერ, რომელმაც აფხაზეთის ტკივილი არ გვაკმარა და 2008 წელს ხელმეორედ განგვაცდევინა ომის სიმწარე. 2008 წლის დანატოვარი პრობლემები კი დღემდე აქტუალურია და დაღად ამჩნევია როგორც რეგიონს, ასევე ქვეყანას. ოკუპაცია გლობალური ხასიათისაა და მრავალ თამხლებ პრობლემას წარმოშობს. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებამ განსაზღვრა ჩვენი არჩევანი - სამაგისტრო ნაშრომში გვეჩვენებინა, თუ რა ადგილს უთმობს ცენტრალური პრესა შიდა ქართლის რეგიონს, როგორ ასახავს აქ მომხდარ მნიშვნელოვან ამბებს, აქაურ პრობლემებს, სიახლეებს...

განსახილველად შევარჩიეთ სამი გაზეთი: „საქართველოს რესპუბლიკა", „კვირის პალიტრა" და „ალია". სამივე გამოცემა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია, რაც საკვლევი თემის მიმართ ინტერესს ბუნებრივად აძლიერებს.

Anotation

Shida qartli region is one of the most sensitive areas of our country. Among the problems featured for countries, this region has the most important-occupation. As it is well-known, 20 % of our country ic occupied by our "friend country" Russia, for which the burden of our losing Afkhazeti was not enough and in 2008 put us under the presure of another war. The problems caused by this was is still actual and influences the region, as well as the country. Occupation is global and also originates accompanying problems. Exactly these problems has determined the theme of my choice- to show in my work how much attention is paid to Shida qartli region by the central press, how well the ongoing situation and news are reflected…

The three newspapers were chosen for discussion: "Georgian Rubric", "Kviris palitra" and "Alia". All of them are totally different from each other, this makes the research work far more interesting.

სარჩევი

შესავალი..... 3
თავი I
გაზეთის წარმოშობის წინაპირობები და მისი მოკლე ისტორია..... 4
თავი II
გაზეთის ორმაგი სახე და „ინტერესთა კონფლიქტი“ 7
თემის აქტუალურობა 8
სტატისტიკა..... 11
თავი III
გაზეთი „ალია“, 2019 წლის მარტი - მაისი 13
თავი IV
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წლის მარტი - მაისი 21
თავი V
გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2019 წლის მარტი - მაისი 42
დასკვნა 50
გამოყენებული ლიტერატურა 53

შესავალი

თანამედროვე ეპოქამ, ინტერნეტმა, კომპიუტერმა, სოციალურმა მედიამ, უფრო ადრე კი ტელევიზიამ, ერთი შეხედვით, თითქოს, საგრძნობლად შეასუსტა გაზეთის როლი და საზოგადოებრივ აზრზე მისი ზეგავლენა. თუმცა, უცხოელი მედიამკვლევარები აღნიშნავენ, რომ გაზეთი მაინც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. თავის დროზე, ამერიკის შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი ამბობდა: „ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ - მთავრობა თუ გაზეთები, უყოყმანოდ ავირჩევდი მეორეს.“ ხსენებული ქვეყნის დღევანდელი მეთაური, ალბათ, ამას აღარ იტყვის, მაგრამ იმასაც არავინ დაიჯერებს, თითქოს, მისთვის სულერთი იყოს, რომელი გაზეთი რას დაწერს.

საქართველოშიც არსებობენ გაზეთები, რომლებიც ინარჩუნებენ გავლენასა და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების უნარს. ჩვენ სამი ასეთი გაზეთი შევარჩიეთ იმის გასარკვევად, თუ რა ადგილს უთმობენ და როგორ აშუქებენ შიდა ქართლის პრობლემატიკას.

გაზეთის წარმოშობის წინაპირობები და მისი მოკლე ისტორია

ინფორმაციის გაცვლის სურვილი ადამიანებს უხსოვარი დროიდან გაუჩნდათ. არსებითად, ინფორმაციის გაცვლამ ჩამოაყალიბა ადამიანთა საზოგადოება, როგორც სოციუმი. **,,აქტუალური, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემის ნაირგვარი ფორმები, რომლებსაც უძველეს ხანაში იყენებდნენ, თამამად შეგვიძლია, წინარეჟურნალისტურ მოვლენებად ჩავთვალოთ“** (ი.ჭუმბურიძე, 2012, 28).

თავდაპირველად, ინფორმაცია პირობითი სიგნალებით გადაიცემოდა. ასე ჩამოყალიბდა პრიმიტიულ ნიშანთა სისტემა. მკვლევარები ამის მაგალითად ინდიელებსა და ძველ ინკებს ასახელებენ. სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად, განვითარდა ინფორმაციის გაცვლის ზეპირი ფორმები. იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა სიტყვას, როგორც ინფორმააციის მთავარ შემცველს და შემნახველს. დიდ როლს ასრულებდნენ ორატორები, რომლებიც ზემოქმედებდნენ მსმენელთა აზრებსა და ქცევებზე. ინფორმაციის გავრცელების ამგვარ ფორმებს, პირობითად, ზეპირ გაზეთებსაც უწოდებდნენ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანდათან მომძლავრებული სახელმწიფო ცნობიერებისა და აქტუალურ შეტყობინებათა გავრცელების ზეპირი ფორმები ნაკლებ ეფექტური იყო. ამიტომ მუდმივად ეძებდნენ წერილობითი ინფორმაციის საშუალებებს. ეს კი ბუნებრივია, მხოლოდ დამწერლობის წარმოშობის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ჩვ. წელთაღიცხვის I საუკუნეში ჩინეთში გამოჩნდა ქაღალდი. მე-6 საუკუნეში ის უკვე არის იაპონიაშიც და მე-10 საუკუნეში არაბმა ვაჭრებმა შეიტანეს ევროპაში. წარმოების განვითარებამ თავისთავად მოითხოვა ახალი ამბების უფრო ოპერატიულად გავრცელება. ამ მიზნით მსხვილ ქალაქებში იქმნებოდა საინფორმაციო ბიუროები. ერთ-ერთი პირველი ასეთი ბიურო შეიქმნა ვენეციაში, 1530 წელს. ამავე ქალაქში დაიბადა გაზეთის სახელწოდებაც. პერიოდულ გამოცემას ყიდულობდნენ ვერცხლის მონეტით, რომელსაც ,,gazetta“ ეწოდებოდა. მოგვიანებით ფულის სახელწოდება გადავიდა შესყიდვის ობიექტზე. ეს ტერმინი საბოლოოდ დამკვიდრდა მე-17 საუკუნეში, როდესაც ფრანგმა ექიმმა რენოდომ, კარდინალ რიშელიეს ხელშეწყობით, ,,ლა გაზეტას“ გამოცემა დაიწყო.

მე-19 საუკუნეში ერთპენიანი გაზეთების გამოჩენას, მომენტალურად მოჰყვა მკითხველთა უკმაყოფილება, მისი უარყოფითი გავლენის გამო. ამ ბრალდებას ხსნიდნენ იმით, რომ, თითქოს ბევრი ახალი პრობლემა სწორედ ამ ახალი ტიპის ფურცლებმა წარმოშვა. საერთოდ, იმ დროს მიაჩნდათ რომ, მედია გავლენის უზარმაზარ ძალას ფლობდა და ის ძირითადად არაჯანსაღი იყო. ზუსტად იგივე მოხდა მე-20 საუკუნეშიც კინოსა და მაუწყებლობის გამოჩენასთან ერთად, საზოგადოება კიდევ ერთხელ შეშფოთდა იმ უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით, რომელთაც სავარაუდოდ ახალი ტიპის მედია მოიტანდა.

თანამედროვე ამერიკულ პრესაში ყველა ტიპის და ზომის გაზეთებს შევხვდებით. მაგრამ ადრინდელი და ახლანდელი გაზეთების უმრავლესობას ერთი რამ აერთიანებთ, ორიენტაციისა და დაფარვის ლოკალურობა. ამერიკული ყოველდღიური გაზეთების უმრავლესობა მსოფლიო ამბებს აშუქებს, მაგრამ ადგილობრივ და რეგიონულ მოვლენებს გაცილებით მეტი ადგილი უკავია, ეს კომპონენტი ვრცელდება ქართულ საგაზეთო სივრცეშიც, სადაც ადგილობრივ ინფორმაციას მეტი ადგილი ეთმობა, ვიდრე საერთაშორისოს.

ჩვენ შეგვიძლია, გაზეთები ორ კატეგორიად დავყოთ: ზოგადი ახალი ამბების გაზეთი, რომელიც გარკვეული არეალის მკითხველზეა გათვლილი და სპეციალიზებული გაზეთები, რომლებიც გარკვეული სახის მკითხველისთვის არის გამიზნული. ესენი არის მცირე სპეციფიკური ჯგუფები. მაგალითად, გარკვეული რწმენის ან ინტერესების ადამიანები.

რა არის გაზეთის მთავარი ფუნქცია და რა გამოწვევების წინაშე დგას საგაზეთო სივრცე 21-ე საუკუნეში?

ანალიზისა და ინფორმაციის ფუნქციები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ანალიზი გაცილებით უფრო სიღრმისეული მოვლენაა, ვიდრე უბრალოდ ინფორმაცის გადაცემა. ანალიტიკური მიდგომა ინფორმაციას სიღრმისეული დეტალებით ამდიდრებს, ხსნის მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, აანალიზებს მის როლსა და მნიშვნელობას. ამ ფუნქციას გაზეთები უფრო კარგად ასრულებენ, ვიდრე რომელიმე სხვა მედიასაშუალებები. თუმცა, მას შემდეგ, რაც რადიომ ახალი ამბების

მაუწყებლობა დაიწყო, ამ ფუნქციის გაძლიერება კიდევ უფრო საჭირო გახდა. გაზეთებისთვის ეს ახალი გამოწვევა იყო, რადგან მათ დროულობას უფრო მეტი საფრთხე დაემუქრა. რადიო (და, მოგვიანებით, ტელევიზია და ინტერნეტიც) ახალი ამბების გადაცემის უფრო სწრაფი საშუალება აღმოჩნდა, ამიტომ გაზეთმა ახალი ამბების მოპოვებისათვის ბრძოლაზე უარი თქვა და მეტი ყურადღება მოვლენების, დეტალებისა და მათი როლის შესახებ მსჯელობისაკენ მიმართა.

გაზეთის ორმაგი სახე და „ინტერესთა კონფლიქტი“

ფაქტია, რომ გაზეთი სხვადასხვა ადამიანისათვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს. ზოგი ფიქრობს, რომ გაზეთი დიდ შემოსავლებზე ორიენტრებული ბიზნესია, რომლის მთავარი მიზანია, მფლობელს ფინანსური მოგება მოუტანოს. სხვებს სჯერათ, რომ გაზეთი არის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, საზოგადოებას ემსხურება და დემოკრატიას იცავს. ისეთებიც არიან, რომელთათვისაც გაზეთი ერთიცაა და მეორეც. მაგალითად: ამერიკის შეერთებული შტატების, კომერციის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი გაზეთის განმარტება ორივე შეხედულებას შეიცავს:

,,ამერიკის შეერთებული შტატებში გაზეთის ინდუსტრია სიდიდით მეათეა, ხოლო სამუშაო ადგილების მიხედვით, მეხუთე ადგილი უკავია. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია და მისი განმარტება გაზეთს განიხილავს, როგორც ინფორმაციისა და შეხედულებების მიმწოდებელს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთავრობის ფუნქციონირებისა და თავისუფლების პრინციპების განხორციელებისთვის... გაზეთი ერთდროულად არის კერძო დაწესებულება, რომელიც მაღალი კონკურენციის პირობებში თავისი დამოკიდებულებისათვის იბრძვის და საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც ყოველი მოქალაქის ინტერესებს იცავს“. [ე.დეფლორი, ე. დენისი 2009, 75]

ამგვარად, თანამედროვე გაზეთს ორი სახე აქვს. ერთის მხრივ არის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც ხალხის ინტერესების დამცველად გვევლინება. იგი ხშირად გამოდის მთავრობისა და სხვა ძალების წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, გაზეთი როგორც ბიზნესი, ფინანსური მოგების გზებს ეძებს და მოქმედებს, როგორც სხვა ჩვეულებრივი ბიზნესდაწესებულება, როგორც დამქირავებელი და როგორც კომერციული პალატის წევრი.

გაზეთის ორი სახე განაპირობებს ჟურნალისტიკისა და ბიზნესის ღირებულებების გარდაუვალ შეჯახებასაც, რაც ხშირად გაუთავებელი და გადაუწყვეტი კონფლიქტის მიზეზი ხდება. მაგალითად: შესაძლებელია, სარეკლამო განყოფილებისა და ახალი ამბების რედაქტორები ერთმანეთს საგაზეთო სივრცის, ან იმის გამო შეედავონ, თუ როგორ უნდა გაშუქდეს ესა თუ ის მასალა.

შესაძლებელია, ინტერნეტმა სერიოზული ზიანი მიაყენოს ბეჭდურ მედიას. ამ საკითხზე ორივე მხარეს უამრავი არგუმენტი მოეპოვება. ენდრიუ ჰერსტი, ონლაინ ახალი ამების რედაქტორი აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ონლაინ ახალი ამბების რედაქტორი, ახალი მედიის წარმომადგენლად ვითვლები და თითქმის მთელ დღეს კომპიუტერის წინ ვატარებ, მე თვითონ გაზეთის დიდი ფანი ვარ. გაზეთები და ჟურნალები ინფორმაციის მიწოდების ყველაზე ეფექტური სისტემებია, ხოლო ინტერნეტნიუსი, მიუხედავად იმისა, რომ ყველას დიდ რამედ მიაჩნია, მათ ვერ შეედრება(სხვა მედია უფრო ოპერატიულია), მაგრამ, როდესაც ხელში გაზეთი გიჭირავს, მის შეფასებას წამები სჭირდება, თვალის ერთი გადავლება საკმარისია, რომ სტატიის მნიშვნელობას მხოლოდ სათაურების ზომით და მისი ადგილით მიხვდე“.

სპეციალისტთა აზრით, გაზეთი აუცილებლად შეინარჩუნებს თავის ადგილსა და მნიშვნელობას და კვლავაც აქტუალური იქნება, წარმატებული იქნება, ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში მაინც.

თემის აქტუალურობა

შიდა ქართლის რეგიონში შედის 9 ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეული: ქალაქი ცხინვალი და 8 მუნიციპალიტეტი: გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ერედვის, ქურთის და ჯავის. საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს 4 მუნიციპალიტეტი, რომლებიც მოიცავს 372 დასახლებულ პუნქტს, მათ შორის 4 ქალაქს (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური), 2 დაბას (სურამი, აგარა) და 366 სოფელს.

1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა პერიოდში არსებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და ამ მხარეში წარმოქმნილი ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტების შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა ფაქტობრივი კონტროლი შიდა ქართლში შემავალი ტერიტორიების ერთ ნაწილზე. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, დაახლოებით

1,400 კმ² ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ.

შიდა ქართლის რეგიონი თავისთავად აქტუალური უნდა იყოს მედიისთვის, ვინაიდან მასში შედის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია, რაც ქვეყნის უმთავრესი პრობლემაა. იგი უარყოფითად აისახება არა მხოლოდ რეგიონზე, არამედ მთლიანად ქვეყანაზე. ოკუპაცია თავის გარშემო არსებულ ყველა პრობლემას აერთიანებს, უფრო ამწვავებს და უფრო თვალნათელს ხდის. სწორედ ამიტომ გახდა ამ თემის წინ წამოწევა მნიშვნელოვანი ჩვენთვის კვლევის პროცესში.

თითოეული პრობლემა, რომელიც ჩვენს გარშემო წარმოიშობა და ვითარდება, სწორედ ერთი დიდი პრობლემიდან, ოკუპაციიდან იღებს სათავეს, ცალკე თემას წარმოადგენს და ქართული საზოგადოების მუდმივი ყურადღების საგანი უნდა იყოს. საქართველოს ევროატლანტიკური თუ ევრაზიული ორიენტაციის ბედს დიდწილად სწორედ აფხაზეთისა და შიდა ქართლის ოკუპირებული, უფრო სწორად ამ ეტაპზე წართმეული ტერიტორიების მომავალი განსაზღვრავს.

დღევანდელი მდგომარეობით, რუსეთის მიერ ძალისმიერად მოწყვეტილი ტერიტორიების დამოუკიდებლობას მსოფლიოს დიდი ნაწილი არ ცნობს და ამ ტერიტორიებს ოკუპირებულს უწოდებს. მხოლოდ გორისა და გორის რაიონის პრობლემაა ის, რაც უკვე ბევრჯერ გვინახავს? რუსი მესაზღვრეები აქ განათავსებენ ბოძებს, რომელზეც კიდებენ საზღვრის აღმნიშვნელ ბანერებს და გაფრთხილებას, რომ საზღვრის გადაკვეთა აკრძალულია და მალევე მიაყოლებენ მავთულხლართებს. ჟურნალისტები ჩადიან ადგილზე და გვეუბნებიან, რომ რუსებმა კიდევ რამდენიმე ჰექტარი მიიტაცეს. ქართული საზოგადოება აღშფოთებულია. ხელისუფლება აცხადებს, რომ ყველაფერს გააკეთებს, რაც შესაძლებელია (ანუ მოახდენს საერთაშორისო პარტნიორების ინფორმირებას და შეიძლება, საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადებაც გაავრცელოს). ევროკავშირის მონიტორინგის მისია აცხადებს, რომ მავრთულხლართების გავლება ხელს უშლის ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილებას. ერთი-ორი ექსპერტი Google Map-შიც შევა და შეხედავს, რამდენი მეტრი დარჩა ავტობანამდე. ამბავი მთავრდება ისე, რომ რამდენიმე დღეში იგივე შეიძლება ისევ განმეორდეს. იმისათვის, რომ გავერკვეთ, რატომ მოიწევს

მავრთულხლართი, ჯერ უნდა გავარკვიოთ, რას წარმოადგენს „ოკუპაციის ხაზი“. ეს ხაზი იწყება იქიდან, სადაც რუსები დგანან. იმ ფონზე, როცა საქართველოს ხელისუფლება არ ხაზავს საკუთარ რუკას, საზღვრის დაფიქსირებას რუსები ცალმხრივად ცდილობს. სად გაჰყავთ რუსებს საზღვარი? თეორიულად, რუსეთს შეუძლია, ორი რამ გააკეთოს. პირველი: გამოგონილი საბაბით დაიკავოს დიდი ტერიტორია, რითაც, ერთის მხრივ, სერიოზული დარტყმის ქვეშ დააყენებს საქართველოს სუვერენიეტეტს, მაგრამ თავადაც აშკარა აგრესორის როლში აღმოჩნდება, მეორეს მხრივ, შეუძლია, შეინარჩუნოს ორაზროვნება, გააგრძელოს პატარ-პატარა მონაკვეთების შემოღობვა და საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით აღმართოს უფრო დიდი ტერიტორიის მიტაცების საფრთხე. ცხადია, რუსეთისათვის უფრო მიმზიდველია მეორე ალტერნატივა, რამდენადაც ის საშუალებას აძლევს, თავად არ აღმოჩნდეს საერთაშორისო კრიტიკის ქვეშ და ტერიტორიებიც დაისაკუთროს.

საკითხის აქტუალურობა რომ რეგიონის ჭრილში არ უნდა იყოს განხილული რატომღაც ამის აფიშირებას ყველა თავს არიდებს. რა აწუხებს რეგიონს? ეკონომიკური კრიზისი, არასაკმარისი სამუშაო ადგილები, მიტოვებული უფუნქციო სოფლები, დაბეჩავებული ხალხი. ალბათ, იტყვით, ასეთი პრობლემების წინაშე ხომ მთელი საქართველო დგასო? სწორედაც, რომ მთელი საქართველოს ეს პატარა პრობლემები გლობალურ პრობლემაში, ოკუპაციაში ერთიანდება. ეკონომიკურად მყარი მოსახლეობა ძლიერი სოფლებიდან გამოყარეს, სახლები დაკარგეს და ზოგიერთმა მათგანმა ერთი ნივთის წამოღებაც კი ვერ მოახერხა. საკუთარი ხელით დარგული ხეხილი და ბაღები ომმა მიწასთან გაუსწორა, თუმცა, მთავარი სატკივარი მაინც უსახლკარობა გახდა. შრომას მიჩვეული ხალხი ჩვენმა მთავრობამ ჭაობიან კოტეჯებში შეუშვა და მინიმალური კომპენსაცია მისცა.

ალბათ, თქვენც ხშირად გესმით, ხალხი სოფლებს ტოვებს, გორის სოფლები ისეთი ძლიერი აღარ არის. გაჭირვებული მოსახლეობა დედაქალაქს და უცხოეთს მიეშურება. გორის სოფლების უმრავლესობამ ფიზიკურად შეწყვიტა არსებობა, აღარც ხალხს აქვს ის სიმყარე, რაც ქართლელ გლეხს ყოველთვის ჰქონდა. ეკონომიკურად თუ მიჭირს, რა თქმა უნდა, არასდროს მექნება იმის საშუალება, რომ მიწაში და მამულში ინვესტიცია ჩავდო, ამიტომ ეკონომიკურად გაუჭირდა გლეხს და გაუჭირდა სოფელს.

შიდა ქართლის პრობლემატიკას ხშირად განიხილავენ სატელევიზიო თოქ-შოუებში, საინფორმაციო გადაცემებში, პოლიტიკოსებთან შეხვედრებზე და ა.შ. თუმცა ეს განხილვა მეტი ინტენსივობით ხდება ტელევიზიაში. საინტერესოა, რა ხდება ამ მხრივ გაზეთებში, ბეჭდურ მედიაში. სწორედ ეს არის ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი. იმ გლობალური პრობლემების ფონზე, რაც სულ აწუხებს ჩვენი ქართლის მოსალეობას და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ საკმაოდ ბევრია, რა უფრო აინტერესებს ქართულ გაზეთებს, ოკუპაცია თუ პოლიტიკური სკანდალები?

სტატისტიკა

პრობლემის აქტუალურობის კვლევისას, უპირველესად, იმით დავინტერესდით, თუ რა ადგილს უთმობენ ცენტრალური ქართული გაზეთები შიდა ქართლის პრობლემატიკას. ამ მიზნით გავეცანით განსახილველი გაზეთების ბოლო სამი თვის ნომრებს. რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ,,კვირის პალიტრა“ და ,,ალია“ ყოველკვირეული გაზეთებია, ,,საქართველოს რესპუბლიკა“ კი - ყოველდღიური.

ვიდრე დაწვრილებით განვიხილავდეთ, თუ რა პრობლემები აწუხებს შიდა ქართლის მოსახლეობას და რომელი მათგანი როგორ აისახება ქართულ საგაზეთო სივრცეში, ჯერ სტატისტიკას გავეცნოთ და აქვე ვნახოთ, თუ რა სურათია არა მხოლოდ თემატური, არამედ ჟანრობრივი მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც.


ალია
3.5
3
2.5
2
1.5
1
0.5
0
წიუსი
სტატია
რეპორტაჟი
მარტი
აპრილი
მაისი


საქართველოს რესპუბლიკა
7
6
5
4
3
2
1
0
წიუსი
სტატია
რეპორტაჟი
მიმართვა
მარტი
აპრილი
მაისი


კვირის პალიტრა
3.5
3
2.5
2
1.5
1
0.5
0
წოუსი
სტატია
იწტერვიუ
მარტი
აპრილი
მაისი

გაზეთი „ალია“, 2019 წლის მარტი - მაისი

4-10 მარტი.

ნომერში დაბეჭდილია **ნიუსი**: **„ბუზი სპილოდ გადააქციეს, არანაირი ძალადობა არ ყოფილა - დედამთილმა რძალი ბავშვზე ძალადობის ბრალდებით დააჭერინა“**.

შემთხვევის ადგილი - ქალაქი ქარელი. დედამთილმა ბავშვზე ძალადობის ბრალდებით რძალს უჩივლა, რის შემდეგაც ბავშვი სამართალდამცავებმა მიმღებ ოჯახში გადაიყვანეს, ხოლო ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს. ნიუსი აკმაყოფილებს ჟანრისთვის წაყენებულ მოთხოვნებს და პასუხობს მისთვის დამახასიათებელ სამ კითხვას: რა მოხდა? სად მოხდა? როდის მოხდა?. გაზეთის სტრუქტურას, მის თემატიკას და მიმართულებას მასში დაბეჭდილი პუბლიკაციები განსაზღვრავს. პირველი გვერდის მიხედვით შესაძლებელია, განვსაზღვროთ გაზეთის ხასიათი და მიმართულება, მივხვდეთ აკადემიურია თუ ყვითელი. [ი.ჭუმბურიძე 2006: 14]

„ალია“ სწორედ ყვითელი პრესის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია და ამ ნომერში, დაბეჭდილი ნიუსიც ყვითელი პრესის შესაბამისია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ ეხმიანება დღევანდელი ყოფიერების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას - ,,ძალადობას“. ნებისმიერი სახის ძალადობა კი კანონით ისჯება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოჯახში ძალადობას და მით უმეტეს ოჯახში ძალადობის მავნე ზემოქმედებას ბავშვზე. ეს კონკრეტული ნიუსი, ბავშვზე პირდაპირი ძალადობის შესახებ გვამცნობს. პირდაპირია ძალადობა, რომელიც უშუალოდ მსხვერპლზე ახდენს ფიზიკურ ან/და ფსიქო–ემოციურ ზემოქმედებას. თითოეული ადამიანი თანასწორია და ყველას აქვს, თავისუფლად ცხოვრების უფლება. ცხოვრება ისეთი ფორმით, რომელიც საკუთარი ინტერესების შესაბამისად ყალიბდება. ძალადობის ნებისმიერი გამოვლინებაა, მოითხოვს უდიდეს ჩართულობას და განხილვას. განსაკუთრებით, ოჯახში ძალადობის ფაქტები სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა განიხილდებოდეს, რათა ჯანსაღი საზოგადოების პირველსაწყისი სწორედ ოჯახია. ალბათ,

დამეთანხმებით, რომ ოჯახში ძალადობის ყველაზე მეტი შემთხვევები სწორედ რეგიონებშია და მათ არც შიდა ქართლი ჩამორჩება.

სტატია „ ბედნიერი ერის უბედური სამშობლო- ნუ გეწყინებათ, ქაველებო, სიმართლე“

სტატია ეძღვნება დრამატურგ გურამ ქართველიშილის მიმართვას ფეისბუქში. რუსეთი და ამერიკა საქართველოს დასაპატრონებლად იბრძვიან, ხოლო ამ ვეშაპების ომში თურქეთი თავისი წილის მიტაცებას ცდილობს. სომხეთი ჯავახეთს ებღაუჭება, აზერბაიჯანს გარეჯზე და ქვემო ქართლზე აქვს დადგმული თვალი, რუსს ამოფარებული ოსები კი მყარად დგანან შიდა და ზემო ქართლში. სტატია საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას განიხილავს. დაკარგულ ტერიტორიებს და მოსალოდნელ საფრთხეებს გვახსენებს.

ცუდი მეზობლის ყოლას სულ რომ არ გვყავდეს, ჯობია, მაგრამ ჩვენ განა გვეკითხება ვინმე ამას? სტატიაში წარმოჩენილია დემოგრაფიული პრობლემა, თუმცა ფაქტები და არგუმენტები ზედაპირულადაა განხილული, ვინაიდან არაფერია ნათქვამი ოკუპაციას თანმდევ პრობლემაზე - იძულებით გადაადგილებულ პირებზე. სად წავიდა ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობა? რა დატოვეს და რა დახვდათ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საცხოვრებელში? რა მდგომარეობაშია ხალხი 11 წლის შემდეგ? შესაძლებელია, ვინმემ იფიქროს, რომ 2019 წელია და დევნილთა პრობლემების განმეორება და განხილვა სიახლე აღარავისთვისაა. თუმცა, მიმაჩნია, რომ ქართულმა საზოგადოებამ დღემდე არ იცის იმ დაჭაობებული ადგილების შესახებ ,,კოტეჯების დასახლებებს“ რომ უწოდებენ, სადაც ახლა ცხოვრობენ ჩვენი დევნილები და უკვე დიდი ხანია აღარ გვესმის მათი ხმა - პროტესტი. რა დაემართათ? ნუთუ საუბარი აღარ უნდათ? ნუთუ, დრო აღარ აქვთ? ნუთუ ყველა პრობლემა მოუგვარდათ? ნუთუ დუმილი ბედნიერებას გამოხატავს? იქნებ პროტესტის გამო დადუმდნენ, იქნებ მოქმედებას და უმოქმედობას ერთნაირი შედეგი რომ ჰქონდა, იმიტომ დადუმდნენ? იქნებ სამართლის ძებნამ დაღალა ისედაც გამწარებული ხალხი? სამწუხაროდ, ამ კითხვებს პასუხები არა აქვს, არც რეალობაში და მით უმეტეს არც სტატიაში.

მოგეხსენებათ, სტატიის, როგორც ჟანრის თავისებურებაა, რომ დასვას პრობლემა, ფაქტებისა და მსჯელობის საფუძველზე დაასაბუთოს პრობლემის აქტუალურობა და

ეძიოს მისი გადაჭრის გზები. აღნიშნულ სტატიაში გამოკვეთილია დემოგრაფიული პრობლემა, თუმცა ფაქტების და არგუმენტების სიმცირე სტატიას ერთფეროვანს და მოსაბეზრებელს ხდის. ამასთანავე, არსად არის ნახსენები პრობლემის გადაჭრის გზები. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ამ სტატიას ვერ მივაკუთვნებთ ყვითელ პრესას, რადგან მასში არ იკვეთება ყვითელი პრესისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

11-17 მარტი

რეპორტაჟი - სასამართლოდან, იაგო ნებიერიძის საქმეზე. მკვლელი, რომელმაც უდანაშაულო პატარა გოგონას, ნანიკო ბერიანიძის სიცოცხლე შეიწირა. ეს არის ფაქტი, რომელიც მხოლოდ შიდა ქართლის ფარგლებში არ და ვერ დარჩა. რეპორტაჟს ჟურნალისტი იწყებს ასე: ,,როგორც იქნა სასამართლო ექსპერტიზამ ყველაფერს პასუხი გასცა, ყველაფერში მარტო მოქმედებდა, რასაც აკეთებდ,ა აცნობიერებდა ყველაფერს". რეპორტაჟში ჩართულია ინტერვიუ გარდაცვლილის მამასთან, რომელიც შემდეგ განცხადებას ავრცელებს: „ერთადერთი მოლოდინი მაქვს, სამუდამო უნდა მისცენ, ეს მოთხოვნა მხოლოდ მე არა, მთელს საქართველოს აქვს".

ჟანრობრივად რომ განვიხილოთ, პირობითად შესაძლებელია ვუწოდოთ რეპორტაჟი. ჟანრისთვის დამახაიათებელ ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, თუმცა ნიუსის ფარგლებს სცდება და სტატიასაც ვერ მივაკუთვნებთ. მოგეხსენებათ, რომ რეპორტაჟმა ფაქტი ან მოვლენა უნდა გვაჩვენოს მიმდინარეობის პროცესში, ჟურნალისტი მოვლენის მომსწრე და მონაწილე უნდა იყოს. ეს რეპორტაჟი ახერხებს, რომ ფაქტის მონაწილე გაგვხადოს, ვინაიდან, ამ პატარა ანგელოზის წამებით სიკვდილმა ყველას გულში შეაღწია. რეპორტაჟში, გაზეთ „ალიას" დავიწყებული აქვს ყვითელი პრესის სტრუქტურა, არ ეწევა დემაგოგიას, არ ამწვავებს სიტუაციას, არ კითხულობს მორალს, ჟურნალისტი ნეიტრალური დამკვირვებლის როლში გვევლინება მოვლენის ადგილიდან. ეს საკმაოდ დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს, რომ ვწეროთ და გადმოვცეთ საყოველთაო მღელვარების გამომწვევ მოვლენაზე ნეიტრალურად.

18-25 მარტი

სტატია ეძღვნება ოკუპაციის თემას. გასული წლის ბოლოს რუსულმა მხარემ გაავრცელა დოკუმენტი, რომლის თანახმად ცნობილი გახდა, რომ დე ფაქტო აფხაზეთს, ცხინვალსა და საქართველოს შორის საბაჟო პუნქტების ტექნიკური სამუშაოების შესრულება დაევალა შვეიცარიულ კომპანიას. საქმე ისაა, რომ საბაჟო პუნქტების ადგილმდებარეობა განისაზღვრა ზუგდიდსა და გორში, ეს კი არის ორმხრივი საფრთხე საქართველოსთვის. სტატიაში დასმულია, ჩვენი ქვეყნის გლობალური პრობლემა და ჟურნალისტი ლოგიკური კითხვების დასმით ცდილობს პასუხების პოვნას. ეს ფაქტი ხომ, თავისი არსით, აბსურდია, თუმცა აბსურდულობა ხატავს რეალობას. რეალობას, რომელსაც ამ კითხვების ფონზეც, მიუხედავად პასუხების ცოდნისა, თვალი უნდა გავუსწოროთ. ამ ლოგიკურ კითხვათა ჯამი ხდის სტატიას საინტერესოს. რას ნიშნავს საბაჟო პუნქტი ქვეყნის შიგნით, ცენტრალურ ტერიატორიაზე? სადმე სხვაგან გინახავთ? როგორ წარმოგიდგენიათ, მივიღოთ და ვცნოთ დე ფაქტო აფხაზეთის და ცხინვალის საბუთები? ვაღიარებთ წართმეულ მიწებს ოკუპაციის ამ ეტაპზე? სტატია საინტერესო სტრუქტურისაა, კარგად გადადის და ერწყმის ფაქტები ერთმანეთს. ის ვერ დაგვივიწყებია, რომ მავთულხლართების მიღმა ჩვენს ნასახლარს ვუყურებთ, რომ საბაჟო პუნქტები ლამის გორამდე ჩამოაქვთ?

მოგეხსენებათ, სტატიაში ფაქტი არგუმენტის როლს ასრულებს, სწორედ ფაქტების ნაკადი გვაჩვენებს პრობლემის აქტუალურობას და გვისახავს მისი გადაჭრის გზებს. ფაქტია, რომ ხურვალეთიდან ლევან ძაძუა გაიტაცეს. ამ ამბის შემჩნევას თითქოს არ აპირებდნენ, უფრო სწორად საჯაროდ აფიშირებას, რომ არა ანტისაოკუპაციო მოძრაობა, რომელთა მსვლელობას და მოქმედებას მოჰყვა რეაგირება. რამდენად სწორად მოიქცნენ ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრები, გადააქციეს თუ არა ბუზი სპილოდ და იყო თუ არა ლევან ძაძუა გატაცებული, ეს უკვე იმ კითხვათა ნაკადია, ჩვენს საზოგადოებას რომ გაუჩნდა. კომენტარები, რომლებიც ამ ფაქტს მაღალი რანგის წარმომადგენლებისგან მოჰყვა, ერთდროულად, ღიმილისა და სევდის მომგვრელია. ჟურნალისტის ინტერესს მიღმა არ დარჩა შერიგებისა და სამოქალაქოინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის

კომენტარი: **„აჟიოტაჟი საჭირო აღარ არის, უკვე წავიდნენ“.** თუმცა, როგორც ჩანს, სტატიის ავტორისათვის ცნობილი არ, ან ვერ გახდა, ან შეგნებულად აარიდა თავი გორის მერის კომენტარის გაშუქებას **„რუს სამხედროებს გზა აერიათ, ასე ერევათ ხოლმე მაგათ გზა“.** ეგ ისედაც ვიცით, ოკუპანტებს დიდ მასშტაბზე რომ აქვთ არეული გზა და ნახევარი საქართველო რკინის მავთულხლართებით რომ შემოფარგლეს. ახალს რას გვეტყვით, რას? სტატიის დასასრულს აღნიშნულია, თუ სად იყო ამ დროს ევროკავშირის მისია, რა როლი აქვს მას ბორდერიზაციის პროცესში, სადამდე ვრცელდება მისი კომპეტენცია?

25-31 მარტი

ნიუსი - რომელიც გვამცნობს, ტაქსების პრობლემას, რომელშიც შიდა ქართლის ტაქსისტებიც ჩაერთვნენ. ნიუსი აქაც პასუხობს მის მთავარ კითხვებს: რა მოხდა, სად მოხდა და როდის მოხდა?

აპრილის ნომრებში არაფერია შიდა ქართლის პრობლემატიკაზე.

6-12 მაისი

ნიუსი - „17 წლის გოგომ ემიგრანტი მშობლების დასაბრუნებლად ბიზნესი წამოიწყო“

სოფ. კარალეთის მკვიდრი პატარა გოგო მშობლების სამშობლოში დაბრუნების მიზნით ბიზნესს იწყებს და გორში სილამაზის სალონის გახსნას აპირებს. ერთი შეხედვით, შესაძლოა ვთქვათ, რომ ყვითელი ბულვარული პრესისთვის დამახასიათებელი სათაური და ნიუსია. უფრო ღრმა ფესვებში თუ ჩავალთ, ლოგიკურ კითხვათა ჯაჭვი ჩნდება, რაზე უნდა ფიქრობდეს 17 წლის გოგო? პასუხთა ვარიაციებიც წამოვიდა გონებაში, მაგრამ არცერთი მათგანი არ იყო ბიზნესი და მათშორის სალონის გახსნა. პრობლემას სახელად „გაჭირვებას“ რომ ვუწოდებთ, მხოლოდ კარალეთში მცხოვრებ პატარა გოგოს არ აწუხებს. მერწმუნეთ, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ეძებს სიდუხჭირისგან თავის დაღწევის გზას. სამწუხაროდ,

გაჭირვებისგან თავის დაღწევის ყველაზე პოპულარულ გზად ემიგრაციია იქცა. სოფელი რომ ოდითგანვე ქვეყნის განვითარებისა და გაძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, ეს ყველასათვის ცნობილია. დღესდღეობით, საქართველოს სოფლებში მიწის დიდი ნაწილი დასამუშავებელია, ზოგიერთი სოფელი საერთოდ დაიცალა მოსახლეობისგან და სხვაგან წავიდა ლუკმა-პურის საძებნელად. ქართლის სოფლები ცნობილი იყო სიმყარითა და სიძლიერით. ახლა ეს მხოლოდ მითად რჩება, რადგან მოსახლეობა მიწაში ჩაყრილსაც ვერ იბრუნებს უკან, ამიტომ ყველას უცხო მიწისკენ უჭირავს თვალი. იქ სამუშაოდ გარბიან, აქ დატოვებული პატარა ან უკვე ზრდასრული შვილები რომ შეინახონ. ეს პატარა გოგოც სწავლაზე, სტუდენტობასა და პროფესიის შერჩევაზე უნდა ფიქრობდეს, მშობლების გვერდში დგომა რომ უკეთ ეგრძნო, თუმცა იმაზე ფიქრობს, მარტოობას და მშობლების ტანჯვას ისევ თავისი შრომით დააღწიოს თავი. ამ პრობლემისთვის ნიუსი კი არა, ერთი დიდი სტატია უნდა დაეთმო „ალიას“ და საყოველთაო ჭირი - ,,ემიგრაცია“ სიღრმისეულად წარმოეჩინა...

13-19 მაისი

„მე ობოლო ვარ და საიდუმლოს საფლავში ჩავიტან - ვინ არის უცნობი ჯარისკაცი?“

ერთი შეხედვით, სათაური ისეთი იყო, მეგონა, ოჯახური დრამა ან სოციალურად აქტუალური თემა იქნებოდა განხილული. გაკვირვებული დავრჩი, სტატია ასე რომ დაიწყო. 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა და რა თქმა უნდა, ბოლომდე ჩაკითხვის სურვილიც გამიმძაფრდა, სათაურთან კავშირი რომ გამეგო. **სტატია** მოგვითხრობს უცნობ ჯარისკაცზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომს ემსხვერპლა და რომლის ნეშტი ვაკის პარკში განისვენებს. ამბავი სწორედ ამაზეა, როგორ მოხვდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული უცნობი ჯარისკაცის ნეშტი ვაკის პარკში. ამის შესახებ დიდი ხნის წინ გარდაცვლილმა ვეტერანმა, პოლკოვნიკმა ივანე ჩოხელმა გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებთან ისაუბრა. ციტატა სტატიიდან. ივანე ჩოხელი: ,,დიდი სამამულო ომის დასრულების ოცდაათი წლის თავზე 1975 წელს, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ თხუთმეტივე მოძმე რესპუბლიკაში, უცნობი ჯარისკაცების

მემორიალური საფლავები შეექმნათ. ეს იყო ურთულესი მისია. უნდა გვეპოვნა 30 წლის წინ დაღუპული ჯარისკაცი, აუცილებლად ქართველი და 9 მაისს თბილისში ჩამოგვესვენებინა“. იგი იხსენებს ძებნის პროცესს ქერჩში.

რატომ იყო განსაკუთრებით საინტერესო ჩემი თემისთვის? ჯერ საერთოდ გამიკვირდა, რომ „ალიამ“, ყვითელი პრესის გამორჩეულმა წარმომადგენელმა, გადაწყვიტა, ამ საკითხისთვის დაეთმო დრო. ამასთანავე, სულ ველოდი, რომ სადმე გორის სიუჟეტიც უნდა მეპოვნა და არც შევცდი. საბჭოთა კავშირის რეალობაში, ამ მოვლენის აღნიშვნას და შეფასებას თუ ვინმე გადაწყვეტდა, მერწმუნეთ, ჩვენი პატარა ქალაქი მას გაასმაგებული მოწიწებით აღნიშნავდა და ასეც აღმოჩნდა. ივანე ჩოხელი იხსენებს: ,,გორში ვერ ავცდით დიდ სამგლოვიარო დახვედრას, ყველაზე მეტად ქალაქი გორი ელოდა, როდის ჩამოვიდოდით თბილისში, თუმცა ამას არ დასჯერდნენ გორელები, წავასვენეთ ნეშთი გორშიც და მახსოვს, კაცებს ურმებზე 500 ლიტრიანი ღვინის კასრები შემოედგათ და მთელი ქალაქი ამ ჯარისკაცის შესანდობარს სვამდა“. კითხვა გაგიჩნდათ ხომ ? ვინ არის ეს უგზოუკვლოდ დაკარგული ქართველი ჯარისკაცი? აი, სათაურის პასუხიც. ივანე ჩოხელმა სწორედ ეს საიდუმლო ჩაიტანა საფლავში: ,,**მე ობოლი ვარ და საიდუმლოს საფლავში ჩავიტან“**. არ ვიქნები მართალი, რომ არ ვაღიარო, ამბავი ერთობ საინტერესო იყო. შესაძლოა, ჩვენი ბებია-ბაბუების თაობა ამ ამბის მომსწრე და მონაწილეც იყო, ამიტომ გაზეთმა „ალიამ“ კიდევ ერთხელ შექმნა „დასწრების ეფექტი“ მათთვის.

20-26 მაისი

ნიუსი- „ალიას“ ინტერესს მიღმა ისევ არ რჩება 9 წლის ნანიკო ბერიანიძის ტრაგიკული სიკვდილის ამბავი. ნიუსის შესაბამისი სტრუქტურით, მოკლედ და ლაკონიურად გვამცნობს ჟურნალისტი ფაქტებს. ,,ექსპერტიზამ 9 წლის ნანიკოს მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედებები დაადასტურა“. შემდეგი სასამართლო პროცესი 21 მაისს ჩაინიშნა, ბრალდების მხარე დასკვნით სიტყვას წარმოთქვამს და სასამართლოს წინაშე ბრალდებულს დამნაშავედ სცნობს.

ნიუსი- გორში 52 წლის კაცი რეანიმაციიდან გაიპარა, სახურავიდან გადმოვარდა და ისევ რეანიმაციაში მოათავსეს.

ნიუსში მეტი არაფერია ნათქვამი და მეტსაც ვერაფერს მოვთხოვთ. ნიუსს არ მოეთხოვება მსჯელობა და ანალიზი. მაგრამ ხომ შეიძლება, კითხვა დავსვათ: რატომ დაკმაყოფილდა გაზეთი მხოლოდ ინფორმაციის მოწოდებით? რატომ არ აირჩია სტატიის ჟანრი პრობლემის დასმისა და განსჯის მიზნით?

სამედიცინო სფეროს რომ შიდა ქართლში პრობლემები აქვს, ამ ფაქტს გვერდს ვერ ავუვლით. რას ჰქვია სამედიცინო პუნქტში რეანიმაციიდან გაპარვა? რეანიმაცია ხომ ის განყოფილებაა, სადაც მუდმივად უნდა იყოს ერთი მორიგე მაინც? ადმინისტრაციის ვალდებულებაა, რომ სახურავზე ასვლის შესაძლებლობა, განსაკუთრებული საჭიროების გარდა, არავის უნდა ჰქონდეს. რეანიმაციული განყოფილებიდან პაციენტი სახურავზე ისე ავიდა, რომ არცერთ ექიმს ან მედდას არ დაუნახავს. სად იყვნენ ამ დროს? ფაქტია, რომ რეაგირება არსაიდან ჩანს. ვისი პასუხისმგებლობაა? რა თქმა უნდა, ჯანდაცვის სამინისტროსი, ვისი წაყრუებითაც, ყველა, ვისაც ფული აქვს, კლინიკაში აბანდებს, რადგან მას, უპირველესად, ბიზნესად აღიქვამს. რასაკვირველია, თავიანთი წილი პასუხისმგებლობა აქვთ თავად სამედიცინო პუნქტებს, რომელთაც სრულად უნდა ჰქონდეთ შეგნებული ის, რომ საქმე ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ეხება. ინტერვიუც, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესო იქნებოდა, ვიდრე ნიუსი, ვინაიდან ფაქტების და პოზიციის ნაკლებობა მრავალ კითხვას ბადებს. რას ამბობენ ექთნები? სად იყვნენ ექიმები? რამდენად მარტივია რეანიმაციიდან სახურავზე მოხვედრა? როგორ შეძლო პაციენტმა და შეუძლია თუ არა ყველას იქ ასვლა? რას ამბობენ დაზარალებულის ოჯახის წევრები და რა პასუხს სცემს გამოძიებას სამედიცინო დაწესებულების დირექცია? ამ კითხვებზე პასუხს ნიუსი ვერ გაგვცემს.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წლის მარტი - მაისი

5 მარტი

სტატია: ,,ვისია ქართველთა საქართველო? რატომ გვედავებიან ქართულ მიწას?“

,,ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ, ჩვენი ხსენება გააჩანაგონ“ [ი.ჭავჭავაძე 2012: 166]

სტატიის ავტორი ვლადიმერ ლომიძე საინტერესო ფაქტებს იხსენებს: თუ როგორ მიწასთან ემტერებოდნენ ქართულ მიწა - წყალს ოდითგანვე, ყველა მხრიდან, რომ მტერი გვიპირებს ჩაყლაპვას, რომ 21-ე საუკუნეში ტერიტორიის 20% დავკარგეთ და რა მომავალს ვუქადით შთამომავლობას? სტატიაში განხილულია ქართველთა ტოლერანტული ბუნება. ქართველებს ოდითგანვე გვიყვარდა სხვა თვისტომთან ერთად თანაცხოვრება, გულღიაობა ყველას კარს უხსნიდა. მაგალითად, ოსები მოჰყავს და მეგობრობიდან მტრობაში გადაზრდილი ურთიერთობის ქრონოლოგიას გვახსენებს. მართალია, მადა ჭამაში მოდისო და ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელები იმასაც ხმამაღლა აცხადებენ, რომ მლეთა, არაგვის მარჯვენა ხეობა, გორი და მცხეთაც კი ჩვენიაო, მაგრამ სტატიაში მაინც არის განხილული ცხინვალელ ოსებთან წარსულში არსებული მეგობრული ურთიერთობა. სტატიაში მოყვანილი ფაქტები, რეალობაა და ჩვენს უახლოეს წარსულს გვახსენებს. რუსის კალთას ამოფარებულმა ოსებმა და კაზაკთა რაზმებმა უკადრებელი იკადრეს 2008 წლის ომშიც, თუმცა, დამერწმუნეთ მიუხედავად მავთულხლართებისა, ოსებს და ქართველებს შორის მაინც შემორჩა ურთიერთობა.

სტატიაში დასმული პრობლემა, მთელ რიგ გააზრებას მოითხოვს. ვისია ქართველთა საქართველო? მრავალ ეთნიკურ ქართველებს ყოველთვის გვიყვარდა ლუკმის გაყოფა მეზობლებთან. სტუმართმოყვარეობის ტრადიციაზე ბევრს არ ვისაუბრებ, ესაა ყველას რომ აოცებს, თუმცა სტატიის ავტორმა მხლოდ ოსებსა და

რუსებში, რომ დაინახა საფრთხე მე ის უფრო მიკლავს გულს. ყბადაღებული რუსეთი უკვე დიდი ხანია, გადაყლაპვას გვიპირებს და ბევრი აღარ დავრჩით. უბედურება ისაა, რომ ბოლოს ქართველების გარდა ქართველი ერქმევა ყველას: ჩინელს, იაპონელს, არაბს, ინდოელს ... ნახევარი საქართველო ხომ უცხოელ ინვესტორებზე გავყიდეთ. მერე თბილისში მცხოვრები სომხებივით, ისინიც ძირძველობას დაიბრალებენ.

ილიამ ამ პრობლემაზე ლელთ ღუნიაც აალაპარაკა - ,,ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც. ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეყუდნით, ერთურთს ვიხვეწებდნით“ [ი.ჭავჭავაძე 2012: 139]. ახლა ვისია საქართველო?

ნიუსი - ევროვიზიაზე საქართველოს წარასდგენს გორელი მომღერალი ოთო ნემსაძე, რომელიც შეასრულებს რომან გორგაძის სიმღერას: ,,სულ წინ იარე.“

13 მარტი

სტატია: „ცხოვრება მავთულხლართებთან - ოკუპანტების მიერ დაკავებული გზა.“

სტატიის შესავალი 2008 წლის ომზეა, მისგან დატოვებულ საგუშაგოებსა და შედეგებზე. სადამდე მიგვიყვანა ომმა? რა სოფლები დავკარგეთ ? სად წავიდა იქიდან დევნილი მოსახლეობა? რა პირობებში ცხოვრობენ ახლა? - ამ კითხვებზე პასუხის გაცემაა სტატიის მიზანი. საინტერესოდ ვითარდება სტატიის კომპოზიცია. აქ ჩართულია ინტერვიუ იმ გატაცებული ადამიანებისა, რომლებმაც რამდენიმე დღე გაატარეს ოკუპაციის ხაზს იქით. სტატიაში ინტერვიუს ჩართვა შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვინაიდან თუ სტატიაში ფაქტი არგუმენტის როლს ასრულებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ინტერვიუ ქმნის ფაქტების ჯაჭვს, რაც უკეთ წარმოაჩენს პრობლემის სიმწვავეს. ინტერვიუ დღეს გაბატონებული ჟანრია. ინტერვიუს კლასიფიკაციაზე ბევრს დავობენ, თუმცა საქართველოში მისი ყველაზე გავრცელებული სახეა ინტერვიუ - დიალოგი. ესაა საუბარი ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის. როდესაც ვსაუბრობთ ჟანრებზე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოლო დროს

ჟანრებმა განიცადეს ერთგვარი დიფუზია ანუ შერწყმა და შესაძლოა, ერთი ჟანრის თვისებები გადადიოდეს მეორეში. აღნიშნულ სტატიაშიც სწორედ ამ ჟანრთა შერწყმით შეძლო ავტორმა ჟურნალისტური ოსტატობის გამოვლენა.

ინტერვიუში ტყვეობის დღეებს იხსენებენ გატაცებულები. ზოგი მათგანი იხსენებს, რომ იქ ფიცრის საწოლებზე იწვნენ დღეების განმავლობაში, ზოგი იხსენებს, რომ იზოლატორში შეჰქონდათ საჭმელი, ზოგთან არც შეჰქონდათ. ერთი მანდილოსანი გვიყვება ,,ბოლოს იმიტომ გამომიშვეს აქეთ, რომ წყლული გამიჩნდა და შეეშინდათ, სხვებისთვის არ გადამედოო“. ინტერვიუ საინტერესოა, ვინაიდან აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გატაცებულებიც იხსენებენ ტყვეობაში ყოფნის დღეებს და თითქმის ერთნაირი სურათია. განსაკუთრებით შემძრა სამხრეთ ოსეთის საზღვარზე ტყეში დატყვევებულმა კაცის ისტორიამ, რომელიც იხსენებს: ,,ნიღბიანმა პირქვე მიწაზე დამაგდო და 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ადგომის საშუალებაც არ მომცა. მიწიდან ცხვირიც არ ამაწევინა, ბოლოს დაიღალა წვალებით და თავი დამანება“.

დასასრულს სტატიის სტრუქტურამ კიდევ ერთხელ გამაკვირვა. არაჩვეულებრივი გადასვლაა, როდესაც ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელი აფასებს მომხდარს და გვაძლევს რეკომენდაციებს, რა შეიძლება მოვიმოქმედოთ ტყვეობაში ყოფნისას, ან როგორ შეიძლება, ასეთ განსაცდელს თავი ავარიდოთ.

ბორდერიზაცია უაღრესად რთული და მტკივნეული პრობლემაა, რომელმაც 2013 წლიდან სისტემატიური ხასიათი მიიღო. ოფიციალური მონაცემებით, ბორდერიზაციის 30-ზე მეტი ინცინდენტია დაფიქსირებული შიდა ქართლში, გამყოფი ხაზის გასწვრივ. ეს დროში გაწელილი, შეუქცევადი პროცესია და გატაცებულთა რაოდენობის სტატისტიკაც დღითიდღე მატულობს.

14 მარტი

ნიუსი: ,,გორში ღამით 5 ავტომობილი გაქურდეს.“ ფაქტი სადგურის დასახლებაში ავტომანქანების სახელოსნოში მოხდა და ზარალი 1000 ლარამდე მერყეობს.

21 მარტი

სტატია: ,,კარალეთური სარმა.“ ამგვარი სათაური ინტერესს ბუნებრივად აღძრავს, მით უფრო, კარალეთი. ჩვენი დროის ტრაგიკულობა ის არის, რომ ადრე ეს სიტყვა გალაკტიონის ცნობილ ლექსს გაგვახსენებდა:

„გაგონდება თუ არა

კარალეთის დღეები,

მთების ლურჯი კამარა

უცხო სამოთხეები...“

ინტუიციამ და მოლოდინმა მიმტყუნა. შემდეგი ვარაუდი კონფლიქტს უკავშირდებოდა, ან სოფლის მეურნეობის პრობლემას. კვლავ შევცდი. მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლის პრობლემატიკას არ ეხებოდა, მაინც ვერ ავუარე გვერდი და ბოლომდე გულიანად ჩავიკითხე.

იგი ცნობილ ქართველ მოჭიდავეს გურამ საღარაძეს ეძღვნება. თუ ვინ იყო გურამ საღარაძე, როგორი იყო მისი პირველი ნაბიჯები დიდ სპორტში, რომელი იყო მისი ყველაზე დასამახსოვრებელი გამარჯვებები. განსაკუთრებით, საინტერესოა სტატიის ის ნაწილი, სადაც თავად მოჭიდავე იხსენებს განვლილ გზას. პირველი მარცხი ყველაზე უკეთ დამახსოვრებია სპორტსმენს. გვიყვება: ,,ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ საქართველოს მსოფლიო ჩემპიონობისთვის ვემზადებოდი, დასასვენებლად მამასთან ერთად დედულეთში, სოფელ კარალეთში წავედი. იქ სოფლის ბიჭებს დიდი საჭიდაო მოედანი მოეწყოთ და ერთმანეთს ძალაში ცდიდნენ. მამისგან წაქეზებულმა ვიფიქრე, აქ

ხომ გამარჯვება ჩემია მეთქი, თუმცა, მწარე დღე გამომატარა ერთმა სხარტმა, გამხდარმა ბიჭმა. საჭიდაო მოედნიდან რომ გავედი, ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდი, ეს რომ ჩემს თავს მოხდა და იქ სირცხვილნაჭამს იმ წელს ჩემპიონატამდე აღარ დამისვენია.“

სტატია სპორტის მოყვარულებს მათი საყვარელი სპორტსმენის შესახებ მოუთხრობს, აცნობს და აახლოებს. სტატია მომხიბვლელი აღმოჩნდა, ვინაიდან ჟურნალისტი მხოლოდ მისი თვალით დანახულ ვეტერანს არ გვაჩვენებს, ის ყველას თვალით დანახულ ჭიდაობის ვეტერანზე მოგვითხრობს, რომლის სტილსა და ჭიდაობის მანერას ყველა აღფრთოვანებაში მოჰყავდა, თუმცა ვისურვებდი, როდესაც ვეტერანი სპორტსმენი კარალეთს ახსენებს, შიდა ქართლის დღევანდელ ტკივილს მოკლედ შეხებოდა.

27 მარტი

სტატია: ტელესერიალი the grand tours - არის დოკუმენტური სერიალი ავტომობილების შესახებ. The grand tours - ის წამყვანები საქართველოს ესტუმრნენ. მათ უნდა დაედგინათ ყველაზე კომფორტული მანქანა საქართველოს ერთი ბოლოდან მეორეში გადასაადგილებლად. რით არის ეს სტატია საინტერესო? რომ არ მცოდნოდა ამ გადაცემის სატელევიზიო ვერსია, სათაურს, ალბათ, არც წავიკითხავდი. ამ გადაცემის ინგლისური ვერსიაში ჩანს, რომ წამყვანები ჯერ ესტუმრნენ ქალაქ გორს და ყველაზე ცნობილი სტალინის მუზეუმი მოინახულეს. შემდეგ გორის ტურისტულ პოტენციალზე ისაუბრეს და ბოლოს ერთ-ერთ კაფეს ესტუმრნენ. გორის ღვინო ისე მოეწონათ, რომ ერთი ღამით გორშიც კი დარჩნენ. ღამით სტალინის მუზეუმის ეზოში დასხდნენ. ფაშიზმი, მეორე მსოფლიო ომი და სტალინის კულტი გაიხსენეს. ჰქონდათ აზრთა სხვადასხვაობაც. გგონიათ ეს სადმე ეწერა? ნურას უკაცრავად, ამ ფაქტის ხსენებაც არ არის სტატიაში. ჟურნალისტს გამოეპარა ერთი ძალზე საინტერესო ფაქტიც, რომელმაც ჩემში გაურკვეველი ემოცია დატოვა. გორიდან გასვლის დროს ერთ-ერთ მანქანას დაადგეს სტალინის ბიუსტი და ასეთი მანქანით გავიდნენ მაგისტრალზე, თბილისისკენ მიმავალ გზაზე.

სტატიის დასასრულს ვკითხულობთ, რომ გადაცემის ავტორებმა და წამყვანებმა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელი ხურვალეთი მოინახულეს. აქ კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჟურნალისტს ძალიან უნდოდა ამ წამყვანებისთვის სტატიაში ისეთი აღშფოთება მიეწერა, როგორსაც ევროკავშირის მისია გამოთქვამს ხოლმე, ბორდერიზაციის ყოველ ახალ ფაქტზე. ეს იყო შეცდომა და მკითხევლის შცდომაში შეყვანა, ვინაიდან ისინი ხურვალეთში იმიტომ კი არ წავიდნენ, რომ ჩვენი საოკუპაციო ხაზი ენახათ და საერთოდ ინფორმირებული იყვნენ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, არამედ გზა შეეშალათ და ასე აღმოჩდნენ მავრთულხლართების წინაშე. ეს პრობლემად მხოლოდ იქ აღმოჩენის შემდეგ აღიქვეს, როცა მიხვდნენ, რომ 21-ე საუკუნეში ოკუპაციის პრობლემა ამ პატარა ქვეყანას მძაფრად გვიტევს.

4-აპრილი

ნიუსი: ,,**გორელები სტალინის ძეგლის აღმართვას ითხოვენ“**

„ნიუსპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, სტალინის საზოგადოების წევრები, ბელადის სახლ - მუზეუმის ეზოდან აქციებს დაიწყებენ ძეგლის დადგმის მოთხოვნით. მოგეხსენებათ, რომ სტალინის ძეგლი გორის ცენტრიდან 2010 წელს აიღეს და მას შემდეგ ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მისი უკან დაბრუნების მომხრეა. მსგავსი მოთხოვნით მრავალჯერ გაიმართა აქცია, თუმცა უშედეგოდ. სად არის სტალინის ძეგლი? ნება მომეცით, ჩვენი უახლოესი წარსული გავიხსენო.

მახსოვს, ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც ძეგლი ჩამოაგდეს, აბიტურიენტი ვიყავი. მაშინ სწორად ვერ ვაფასებდი მოვლენებს და პროცესებს. გარკვეულწილად, მხურვალე ტაშიც კი მივუძღვენი მაგ ფაქტს, თუმცა, შემდეგ ტურიზმის სპეციალობაზე ჩავირიცხე და ტურისტებთან შეხვედრებიც დაიწყო. სწორედ მაშინ დამაინტერესა, როგორც უბრალოდ გიდს და ტურიზმის მომავალ სპეციალისტს, რა მეპასუხა კითხვაზე: სად არის სტალინის ძეგლი? ის სოფელ კარალეთთან ერთ-ერთ მიტოვებულ შენობაში პირქვე დამხობილი გდია. იცით? გამიჭირდა, გერმანელი ტურისტებისთვის ამეხსნა,

სად და რატომ იყო ძეგლი ამ მდგომარეობაში. მერე, ისიც აღმოვაჩინე, რომ თურმე ჩვენი სისხლიანი წარსულის მიუხედავად, უამრავ ადამიანს უყვარს სტალინი, თურმე უამრავ უცხოელ ტურისტს მხოლოდ იმიტომ უნდა გორში ჩამოსვლა, რომ ეს მუზეუმი და ძეგლი ნახოს, რომ თურმე საქართველოს ბიუჯეტში სხვა მუზეუმებისგან განსხვავებით ერთი მილიონი შეაქვს ამ მუზეუმს და ამ ფონზე მაინც, დღე არ გავა, რომ საბჭოური გადმონაშთები მიწასთან არ გავასწოროთ. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მიუხედავად მტკივნეული წარსულისა და ჩემი და ბევრი ჩემნაირის არასასურველი დამოკიდებულებისა სტალინის მიმართ, ეს ძეგლი კარალეთში ნანგრევებთან კი არ უნდა დაეგდოთ, ისევ მუზეუმთან უნდა მიეტანათ, საყოველთაო აღშფოთების დასარეგულირებლად მაინც. ვვარაუდობ, რომ კიდევ დიდ დროს გაატარებს ეს ძეგლი ნანგრევებში და კიდევ ბევრი უცხოელი ტურისტი იკითხავს აქ ჩამოსვლისას: სად არის სტალინის ძეგლი ?

6-7 აპრილი

სტატია: „გაზაფხული, სისხლი და...“

სისხლი არის სიმბოლო სიცოცხლის, სიკვდილის და სიყვარულის. დაკავშირებულია დაბადებასთან, ქორწინებასთან, ომთან… კონცეპტი „დაატარებს” ბიბლიურ ცოდვასაც, რაც ასე გამოხატა ანა კალანდაძემ ლექსში: „და თქვა უფალმან…”

სად არის აბელ, ძმაი შენი…

კაენ, სად არის, აბელ?

სისხლის იკვრება რკალი…

სხვისას… არ იღებს ზეცა,

საკუთარს ითხოვს, კაენ!

სისხლი ქრისტიანული სიმბოლოცაა: იესომ „აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად” (მათე, 26, 27-28).

„სისხლის ყივილი” – ეს მეტაფორა დაკავშირებულია ყოველივე მშობლიურთან, რომელიც განუყოფელია ადამიანის „მე”-სგან.

რისი სიმბოლოა გაზაფხული? სიახლის, სიცოცხლის, სიყვარულის, რაც მთავარია, გამოღვიძების, ხანგრძლივი ძილისგან გამოღვიძების. ბუნებასთან ერთად ხორცშესხმის და წელში გამართვის. ის გაზაფხული ჯერ არ მოსულა, რომელიც ჩვენს ერს გამოაღვიძებს, მაგრამ გაზაფხული სიცოცხლის შეგრძნების დროა და როგორ არ მინდა ასეთი ვრცელი შესავლის შემდეგ, გითხრათ, რას ეძღვნება ეს სტატია.

აქაც საუბარია ფაშიზმზე, გამარჯვებაზე. სტატიის ავტორი საუბრობს 1945 წლის 9 მაისის დანიშნულებაზე, დიდ ბელადზე, რომელმაც ფაშიზმი დაამარცხა. ავტორი სტალინის სიდიადეს უსვამს ხაზს და მასთან ერთად დიდ მოაზროვნე, მებრძოლ და საქართველოზე მოსიყვარულე მამულიშვილებს იხსენებს? სასაცილოა, რამდენად იყო საქართველოზე მოსიყვარულე სტალინი. საერთოდ, უნდოდა, რომ ეფიქრა საკუთარ წარმომავლობაზე პატარა გორის შვილს? არა მგონია.

მეც ვთვლი, რომ ეს დღე მნიშვნელოვანია და არ უნდა მიეცეს დავიწყებას. მართალია, ეს დღე გენერალისიმუსმა სტალინმა დაგვიწესა, რითაც ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ საჭიროა ყველას გასაგონად მაინც ითქვას: დიახ, მეორე მსოფლიო ომი ჩვენთვის დიდი სამამულო ომი იყო, რადგან პროცენტულად საქართველომ ფაშიზმის დასამარცხებლად ყველაზე დიდი მსეხვერპლი გაიღო და ძნელად თუ მოიძებნება ჩვენში ოჯახი, რომელმაც ერთი წევრი მაინც არ დაკარგი ომში. ეს ფაქტები უნდა გვახსოვდეს ქართველებს და განსაკუთრებით სტალინზე შეყვარებულ გორელებს 1945 წლის 9 მაისის განხილვისას. ის კი არა, რომ ამ ,,დიადმა“ კაცმა მსოფლიოს რაიხსტაგიდან გადმოხედა, არამედ ის, რომ ფაშიზმზე გასამარჯვებლად უამრავმა ქარველმა გასწირა თავი.

9-აპრილი

სტატია: „ცხოვრება ომის ნარჩენებით“ - თინა ნიკოლაიშვილი, რომელიც გორის რაიონ სოფელ ბროწლეთში ცხოვრობს, 2008 წლის ომს იხსენებს. ,,ომის დროს

სოფლიდან დროულად ვერ წავიდნენ, კასეტური ბომბი ეზოში აუფეთქდათ, აფეთქებული ბომბის ნაწილები თინას და მის მეუღლეს დღემდე სხეულში აქვთ, გაუუბედურდათ ჯანმრთელობა, გახდნენ შრომის უუნაროები და საშინელ სიდუხჭირემდე მივიდნენ“. ესაა ომისგან დატოვებული „საჩუქარი.“

სტატიაში დასმული პრობლემა ორიგინალურად არის გადმოცემული, ჟანრების შერწყმის საშუალებით. კომბინირებული სტატია და ინტერვიუ საინტერესო სტრუქტურას ქმნის. ჟურნალისტი იხსენებს და აჯამებს 2008 წლის ომის ფაქტებს: რა მოხდა? როდის დაიწყო ომი? რა ტერიტორიები დაკარგა ქვეყანამ? რამდენი ადამიანი დაიღუპა?. არ განიხილავს პოლიტიკურ ასპექტში და რა თქმა უნდა, არ სვამს იმ ბანალურ კითხვებს, რაც ისედაც სულ გვესმის ტელევიზიიდან: ვინ დაიწყო ომი?

საინტერესოა სტატია იმითაც, რომ ავტორი ცდილობს, გარდა ომის თვითმხილველისა და დაზარალებულის ტკივილიანი რეალობისა, გვაჩვენოს, როგორი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნა ომის შემდეგ. რა გააკეთა მსოფლიო თანამეგობრობამ ჩვენთვის და რას აკეთებენ დღემდე. ჩემში უფრო მეტ ინტერესს და მოწონებას გამოიწვევდა, რომ მენახა სტატიაში მცირედი ინფორმაცია თუ რა გააკეთა სახელმწიფომ ომის შემდეგ და რას აკეთებს ახლა. რის ან ვისი იმედი აქვს დევნილ მოსახლეობას.

შეჯამების მიზნით, შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ სტატია აქტუალურია თემატიკით, საინტერესოა არგუმენტებით, ორიგინალურია ჟანრთა შერწყმით. მარტივი ენით არის დაწერილი, რაც საშუალებას გვაძლევს, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხოთ. ეს ყოველივე ჟურნალისტურ ოსტატობაზე მიგვითითებს. იგი საფუძვლიანად ეხმიანება არა მხოლოდ შიდა ქართლის, არამედ მთლიანად საქართველოს გლობალურ პრობლემას, ოკუპაციას, რომლის წინაშე შესაძლოა ისევ დავდგეთ.

ნიუსი-„ გორის ცენტრში „ალტაოქეი“ გაქურდეს.“

9 აპრილისადმი მიძღვნილი სტატია.

„ეშმაკი გვხლეჩს - უფალი გვაერთიანებს. ბიძინა ივანიშვილი: სადაც იქნება ემოციების გამარჯვება საღ აზრზე, განზე გადგომა და დაპირისპირება, იქ იქნება ქაოსის ძალების საყრდენი, იქ იქნება 9 აპრილის იდეალების ღალატი.“

რა მოლოდინი მქონდა, რა უნდა დაბეჭდილიყო 9 აპრილს გაზეთ „საქართველოს რეპუბლიკაში?“ სტატია, რომელიც ამ დღის მნიშვნელობას ახსნიდა და ხელახლა გაუსვამდა ხაზს მის აქტუალურობას. სტატია, რომელიც კიდევ ერთხელ ჩვენი ისტორიის, ჩვენი ხალხის ბედზე ჩაგვაფიქრებდა. სტატია, რომელიც ჩვენი ,,კარგი“ მეზობლის საამაყო ქმედებებს კიდევ ერთხელ გაგვახსენებდა. გაგვახსენებდა არა მხოლოდ 9 აპრილის ფონზე არამედ, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ცხინვალის და 2008 წლის 8 აგვისტოს ომზე. სტატიას, რომელშიც ჩართული იქნებოდა ინტერვიუები დაღუპულების მშობლებთან, ნათესავებთან, თუნდაც ჩვენთვის უცნობ ადამიანებთან, რომლებიც იმ ხალხს შეგვახსენებდნენ, ვინც 9 აპრილს დარბევისას დაიღუპნენ. ველოდი ისტორიკოსების, პოლიტოლოგების შეფასებებსაც.

უნდა ითქვას, რომ უდავოდ საინტერესო და ღირებულია სტატიის შესავალი, სადაც აღნიშნულია: ,,საქართველოს ისტორიას ბევრი ისეთი დღე ახსოვს, რომელმაც ქართველი ერის ბედი განსაზღვრა და ჩვენი ქვეყნის მომავალი გადაწყვიტა, სწორედ ასეთი დღეა 9 აპრილი. დღე, რომელმაც 30 წლის წინათ ახალ ეპოქას მისცა დასაბამი. საბჭოთა იმპერიის მარწუხებიდან სამშობლოს დახსნა, საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ეს იყო ის დიდი ეროვნული იდეა, რომლის გარშემოც გაერთიანდა და ერთ მუშტად შეიკრა მთელი ერი. 1990 წლის 9 აპრილი იყო უმძიმესი, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე, მაგრამ ეს დღე ჩვენთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. მთელი განვლილი ისტორიის მანძილზე შექმნილმა ეროვნულმა ენერგიამ ერთ პატარა მოედანზე მოიყარა თავი და, დაღვრილი სისხლის მიუხედავად, ამ უთანასწორო ბრძოლიდან ქართველი ხალხი მორალურად გამარჯვებული გამოვიდა. ერთადერთი ძალა, რომელმაც მაშინ ჩვენს ხალხს შეაძლებინა, შიშველი ხელებით დაპირისპირებოდა

საბჭოთა სისასტიკეს, ეს იყო სამშობლოს უპირობო სიყვარული, ამ მუხტმა და ემოციამ შეგვაძლებინა გვებრძოლა თავისუფლებისთვის“

აქ კარგა არის გამოკვეტილი 9 აპრილის მნიშვნელობა, შემდეგ კი იწყება საუბარი იმაზე, თუ როგორ მივედით რევოლუციამდე, თუ როგორ გადავიარეთ ვარდების რევოლუცია, როგორ მივაღწიეთ 2012 წლის არჩევნებამდე და ბოლოს, რა დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ერისთვის „ქართული ოცნების“ არსებობა. სადღა არის 9 აპრილი?!

თუ ვინმეს ქება უნდოდა ავტორს, შეეძლო, სტატიის დასასრულს, ლაკონიურად შეეჯამებინა ისტორია. მაგალითად, ასე: ,,დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან, როდესაც სახელმწიფოს მშენებლობას ცივი გონება, მუხლჩაუხრელი შრომა და საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია სჭირდებოდა, ჩვენს რაციონალიზმზე ემოციამ იმძლავრა და მას შემდეგ საკუთარ შეცდომებზე გვიხდება სახელმწიფოებრიობის სწავლა. ჯერ არჩეული ხელისუფლება დავამხეთ და ქვეყანა სისხლიანი დაპირისპირების ქაოსში გადავისროლეთ, შემდეგ კრიმინალებს ვაჯიჯგნინეთ სამშობლო, მერე თითქოს გონს მოსულებმა, ქვეყანას გეოსტრატეგიული ფუნქციაც შევმატეთ და ნატოს კარზე დავაკაკუნეთ, მაგრამ კორუფციასა და უძრაობაში ჩაფლულებმა იმდენი ვქენით, სანამ ემოციურ ტალღაზე, შინნაზარდი დიქტატორი არ გამოვიძახეთ, რომელიც რუსთაველის გამზირზე ისევ სისხლში ახშობდა სახალხო პროტესტს. 2012 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის 21-ე წელს საქართველო დემოკრატიის ნასახის გარეშე გადავსებული ციხეებით, ხმაგაკმენდილი მედიით, ოკუპირებული ტერიტორიებითა და აღმოსავლური ტირანიის ისეთი ცინიკური მოდელით შეხვდა, რომელიც ხალხის ჯიბიდან წაგლეჯილი ფულითვე ყიდულობდა დემოკრატიის ნიღაბს შინ თუ გარეთ.“

ალბათ, რედაქციას ეგონა, რომ ამ დღის მნიშვნელობას სიმღერის - ,,ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტების“ ტექსტი იტყოდა, რომელიც ასევე პირველ გვერდზე დაბეჭდეს და დანარჩენი ფურცლები უფრო ,,რაციონალურად“ აითვისეს.

12 აპრილი

ნიუსი: „ოქრო იქნება.“

გორელი ფალავანი გენო პეტრიაშვილი რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა.

18 აპრილი

ნიუსი: „პროტესტი გორულად“

არჩილ ჭულუხაძემ თავისი 70 წლის დედა სოციალურ სააგენტოს დაუტოვა. დედის პენსია არ მისცეს, მიზეზი კი მინდობილობის ვადის გასვლა გახდა. მოგეხსენებათ, რომ მინდობილობის გარეშე მშობლის პენსიას ვერავინ გამოიტანს. არჩილ ჭულუხაძის დედა უკონტაქტო და ლოგინს მიჯაჭვულია, იგი ქმედუუნაროა და იმისათვის, რომ მინდობილობის ვადა გააგრძელოს მომვლელმა, საჭიროა ავადმყოფის მიყვანა სააგანტოში. პროცესი რომ წარმოვიდგინოთ, საკმაოდ გართულებულია, ვინაიდან ქმედუუნარო პაციენტის მიყვანა სააგენტოში არ არის ადვილი, მით უმეტეს მაშინ, თუ პაციენტი სპეცგადაყვანას რეანიმობილი სჭირდება. მიუხედევად იმისა, რომ სოცსააგენტო წინასწარ გვატყობინებს მინდობილობის ვადის გასვლის შესახებ, ამ კონკრეტული ნიუსიდან ვიგებთ, რომ ჭულუხაძეს ეს გაფრთხილება არანაირი სახით არ მიუღია. ამიტომ დედამისს ვერ შეუძინა დროულად ის წამლები, რომლებიც მისთვის აუცილებელი იყო. ამ ნიუსს თუ ჩავყვებით, ბოლომდე ფაქტის წინაშე ვდგებით, რომ ბიუროკრატიული პროცესების გამარტივებაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ და სოციალური მომსახურების სააგენტო უფრო ქმედითი გახადოს.

19 აპრილი

სტატია: „სტალინის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება“

რეპორტაჟი გორიდან, რომელიც ისევ სტალინის ძეგლის დადგმას და სტალინიზმის თემას აგრძელებს. ქეთევან იარდაშვილი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის უფროსი მოგვითხრობს, რომ გორი ტურისტებისთვის ასოცირდება სტალინთან. სტალინის ძეგლის პირვანდელი სახით აღდგენა არის მნიშვენლოვანი ტურიზმის განვითარების მხრივ, ვინაიდან იგი გაზრდის ტურისტთა ნაკადს. მან ეს ინიციატივა საკრებულოს სხდომაზე გაიტანა, მაგრამ მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და პროექტი ჩავარდა. თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი თამარ თედლიაშვილი საერთოდ არ ემხრობა კომუნიზმის და ტოტალიტალიზმის დამახასიათებელი გადმონაშთების არსებობას ქალაქში. ის გვიყვება თავისი ინიციატივის შესახებ. მოედანს, სადაც ერთ დროს სტალინის ძეგლი იდგა, ევროპის მოედანი დაარქვან, თუმცა საკრებულოზე ეს საკითხიც ჩავარდა. რეპორტაჟს ჟურნალისტი პროფესიონალურად წარმართავს და ორი საპირისპირო მხარის მოსაზრებას გვაცნობს. ამასთანავე, მისი ყურადღების მიღმა არ რჩება არასამთავრობო სექტორის პოზიცია. ცალკე აქტივობები აქვთ საინიციატივო ჯგუფის ,,მაროს“ წევრებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ გორში სტალინის ქუჩას სახელი გადაერქვას და მარო მაყაშვილის სახელი დაერქვას. მისი ერთ-ერთი აქტივისტი კატო კოთოლაშვილი საინფორმაციო ცენტრის უფროსს ქეთევან იარდაშვილს კომპეტენციას უწუნებს. მისი აზრით, ძეგლის ყოფნა - არყოფნა არ განსაზღვრავს ტურისტების რაოდენობას.

მიმაჩნია, რომ რეპორტაჟი უფრო საინტერესო იქნებოდა, თუ ვნახავდი სტატისტიკას და მოლოდინებს. სტატისტიკას: იკლო თუ მოიმატა ტურისტების რაოდენობამ ძეგლის აღების შემდეგ, ხოლო მოლოდინებიდან - მოსახლეობის მოლოდინებს და დამოკიდებულებას სტალინის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით.

ფაქტია, რომ სტალინის ძეგლის პრობლემა არ დარეგულირდა მისი აღებიდან 9 წლის შემდეგ, თუმცა კვლევის და დაკვირვების პროცესში ისიც ფაქტია, რომ შიდა ქართლის პრობლემატიკის განხილვის დროს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია რატომღაც, პირველ და მთავარ პრობლემად სტალინს მოიაზრებს.

შემთხვევით ამ ფაქტს რედაქციის სტალინელობისკენ ხომ არ მივყავართ? თუმცა მხოლოდ გაზეთს რა დავაბრალოთ, როდესაც აღნიშნული რეპორტაჟიდანაც ჩანს, რომ ეს პრობლემა დღემდე მწვავედ აღელვებთ არა მხოლოდ მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს.

24 აპრილი

ოკუპაციის პრობლემა - საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობა 2019 წლისათვის.

სტატიაში განხილულია, თუ რა გამოწვევებისა და საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა. განსაკუთრებით, ცხინვალის, შიდა ქართლის, სამაჩაბლოს, აფხაზეთის რეგიონი. მე ამ ყველაფერს გამოწვევას არ ვუწოდებდი. ეს უფრო ჩაძინებული ნაღმია, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს. რას იკვლევს ქვეყანა? განა არ ვიცით, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში ე.წ. პოლიტიკური და სოცალურ-ეკონომიკური პროცესები სრულად კონტროლდება საოკუპაციო ძალის მიერ. ოკუპირებული რეგიონები ფინანსურად რუსეთზე არიან დამოკიდებულნი. გრძელდება რუსეთის მოქალაქეობის ფლობის წახალისება და მისი გამარტივებული წესით მიღების მექანიზმის შემუშავება. 2019 წლის სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურში აღნიშნულია, რომ ბორდერიზაციის უკანონო პროცესის პარალელურად, საოკუპაციო ძალები აგრძელებენ ადგილობრივი მოსახლეობის უკანონოდ დაკავებას, ეს პროცესი რიცხვებში შემდეგნაირად ისახება: ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 100, ხოლო აფხაზეთის რეგიონში 28 უკანონოდ დაკავების ფაქტია დარეგისტრირებული. გამოწვევის წინაშე კი ნამდვილად უწევს ერთ მუჭა ქართულ შეიარაღებულ ძალებს ყოფნა. თავდაცვის სამინისტროს რომ ვკითხოთ, ყველაფერს აკეთებენ, რათა საერთაშორისო დონის წვრთნა გაიარონ ქართველმა სამხედროებმაო. ერთი სატანკო ერთეული და რამდენიმე ვერტმფრენიც საკმარისია, თურმე შეიარაღებული ძალებისთვის, დანარჩენის შენახვა ძვირი გვიჯდებაო. ომში რომ მივერეკებით ბიჭებს

და დაზვერვას თეორიულად ვასწავლით, საინტერესოა, იმ ვაჟკაცების გაზრდა რის ფასად დაუჯდათ ქართველ დედებს?

25 აპრილი

,,ტურისტები ეძებენ სტალინის ძეგლს“.

ზემოთ ითქვა, რომ 19 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა **სტატია** ,,სტალინის მიმართ ინტერესი დღითიღე იზრდება“, სადაც რამდენიმე პოზიციას გავეცანით სტალინის ძეგლის დადგმა - არდადგმასთან დაკავშირებით. სწორედ ძეგლის დადგმის აუცილებლობაზე საუბრობს სტატიაში გოგა აფციაური. იგი ქართველი ხალხის სიმრავლეზე გვიყვება სტალინის მმართველობის პერიოდში, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე და გმობს სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ბოკერიას მთავრობის ქმედებას ძეგლებთან მიმართებაში. ციტატა: ,,უნდა მივიღოთ სწორი დამოკიდებულება ძეგლებისდმი. იტალიაში დგას მუსოლინის ძეგლი, ფაშისტური გერმანიის ლიდერის ადოლფ ჰიტლერის ძეგლთან ერთად. ბანდიტმა სააკაშვილმა კი ფაშიზმის მესაფლავის სტალინის ძეგლი გორსა და ქუთაისში ბარბაროსულად გაანადგურა. სტალინმა რომ მსოფლიო იხსნა მიხაკისფერი ჭირისგან, ამას აღიარებდნენ მსოფლიოს ლიდერები, მათ შორის აშშ ყოფილი პრეზიდენტი რუზველტი და ინგლისის პრემიერ მინისტრი ჩერჩილი. ჩვენ რატომ არ ვცემთ პატივს?“

როგორც „საქართველოს რესპუბლიკისათვის არის დამახასიათებელი“ სტატია ისევ სტალინის პიარს ემსახურება, მაგრამ მასში ნამდვილადაა ფაქტების მართებულობა, სააკაშვილის მთავრობასთან დაკავშირებით. მე ის უფრო მიკლავს გულს, გაზეთის რედაქციას კულტად სტალინის პიროვნება რომ ჰყავს გახდილი. დავიჯერო, ქართველ ხალხს სათაყვანო წინაპარი დაგველია? ამ ჩვენი ერის ყველა პრობლემა ისე დალაგდა, რომ გაზეთებს სხვა თემა აღარ ააქვთ? დღევანდელ დღეს საქართველო არის: მიტოვებული, გაჩანაგებული, მივიწყებული და დაპატარავებული. არავის აინტერესებს მისი მომავალი. ილიას სიტყვები: ,,ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონება გახსნილი, გულანთებული კაცები არა ჰყავს”. ჩვენ ქვეყანას დავიჯერო, სტალინი ჰყავდა ასეთი. ან რა კითხვას ვსვამ საერთოდ, საკითხავია სტალინი ჰყავდა ჩვენს ქვეყანას ?

1 მაისი

ნიუსი: ქ.გორში 28 წლის შვილმა მამა სცემა.

დაზარალებული კლინიკა გორმედში გადაიყვანეს, მას ტვინის შერყევა აქვს.

2 მაისი

მიმართვა

ის ფაქტი, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ უკვე არაერთხელ შევამჩნიე სტალინის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ეს მაისის ნომერშიც გამოვლინდა.

2 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების თარიღამდე 7 დღით ადრე, გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა გრიგოლ ონიანის მიმართვა: **„ერთად ვიზეიმოთ ფაშიზმზე გამარჯვება“.** იგი მოუწოდებს ქართველებს, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ მამაკაცს , ჩვენს სახელოვან შრომის ვეტერანებს, რომ შეიკრიბონ 2019 წლის 9 მაისს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, სადაც ბევრ ახალ ამბავს და აქამდე უცნობ ვიდეომასალას ნახავენ. მიმართვაში ავტორს ხალხის მზაობის იმედი აქვს და განსაკუთრებულ სიმრავლეს სწორედ ქალაქ გორიდან ელოდება.

3 მაისი

მიმართვა

რა დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკაში? **გრიგოლ ონიანის მიმართვა: „ერთად ვიზეიმოთ ფაშიზმზე გამარჯვება.“** მოგესმათ? არა ნამდვილად არა. ეს მიმართვა მიყოლებით განმეორდა ორი და სამი მაისის ნომრებში. რაგინდ „სამწუხაროც“ იყოს, გაზეთის პირველი გვერდიდან ბოლო გვერდზე გადავიდა, მაგრამ უცვლელი სახით და

უცვლელი ფოტოთი. დავიჯერო, ამ გაზეთის სარედაქციო საბჭოს ინტერესების სფერო სტალინის პოპულარიზაციას არ და ვერ სცდება? თუმცა გარკვეული დილემის წინაშე თავად გაზეთი გვაყენებს მასში დაბეჭდილი პუბლიკაციებიდან გამომდინარე.

მოგეხსენებათ, რომ 21-ე საუკუნე ეს არის განვითარებული ციფრული ტენიკის და მასობრივი კომუნიკაციის საუკუნე, სადაც მედია და განსაკუთრებით სატელევიზიო სივრცე უმაღლეს დონეზეა განვითარებული. ტელევიზია ყველას ოჯახში შედის სწრაფად, ოპერატიულად და გადასცემს ინფორმაციას მოვლენის მიმდინარეობის პროცესში. ინტერნეტმა და კომპიუტერმა თანდათან გაზარდა ბლოგერთა სივრცე და, შესაბამისად, ახალი ამბების გაშუქებისა და პრობლემის განხილვისთვის თავისუფალი სივრცე შეიქმნა, სადაც ყველას შეუძლია, მარტივად გააზიაროს თავისი მოსაზრება. ამ ფონზე გაზეთი და ბეჭდური მედია საშიში რელობის წინაშე იდგა, რომ საერთოდ აღარ იქნებოდა მათი არსებობის საჭიროება. საბედნიეროდ, მოლოდინი არ გამართლდა, პირიქით, მსოფლიო მასშტაბით, გაზეთის როლი არ შეზღუდულა ისეთ წამყვან ქვეყნებშიც კი როგორიცაა აშშ, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი... არც ქართული საგაზეთო სივრცე უჩივის მოთხოვნილების შემაშფოთებელ კლებას, მაგრამ რას ვაწვდით ჩვენს მკითხველს? - სტატიებს, რომლებიც პროლეტარიატის დიდ დიდ ბელადს ეძღვნება?!

4-5 მაისი

მიმართვა

ალბათ, არ გამკიცხავთ, თუ ისევ კითხვის დასმით დავიწყებ. რა დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 4-5 მაისის ნომერში? პასუხი ნამდვილად გაგაკვირვებთ: **გრიგოლ ონიანის მიმართვა: „ერთად ვიზეიმოთ ფაშიზმზე გამარჯვება.“** მოახლოვდა 9 მაისი და ამ მიმართვამაც ბოლო გვერდიდან კვლავ საწყისი, პირველი გვერდი დაამშვენა. დიდი იმედით გავაგრძელე ამ ნომრის გადათვალიერება, იქნებ რაიმეს წავწყდომოდი ჩემთვის საინტერესოს შიდა ქართლის თემატიკიდან, გარდა სტალინის სიყვარულისა. სამწუხაროდ, არაფერია.

7 მაისი

ნიუსი: „ოკუპანტებმა 80 წლის მამაკაცი- ამირან მელაძე გაიტაცეს.“

ეს ნიუსი ვერ აკმაყოფილებს ჟანრისთვის წაყენებულ მოთხოვნებს და არ პასუხობს მისთვის დამახასიათებელ კითხვებს: რა მოხდა?, სად მოხდა? როდის მოხდა?. ნიუსის ავტორმა, სავარაუდოდ, ჩათვალა რომ ტელევიზიამ იმდენად ბევრი ისაუბრა ამ თემაზე, რომ არ გახდა საჭირო გაზეთში მისი განვრცობა.

სინამდვილეში, როგორც ჩემთვის ცნობილია, მოქმედება სოფელ ქვეშეთში მიმდინარეობდა, მოხუცი სატაცურის საკრეფად წავიდა კვირა დღეს და უკან აღარ დაბრუნებულა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, მოხუცი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით იყო დაკავებული და ცხინვალის იზოლატორში იმყოფებოდა. სატელევიზო სივრცეში ფაქტთან დაკავშირებით გაშუქდა საერთაშორისო მისიების წარმომადგენელთა კომენტარებიც. ალბათ, უკეთესი იქნებოდა, გაზეთს ამ საკითხის გასაშუქებლად სტატია ან რეპორტაჟი რომ აერჩია.

9- მაისი

9 მაისს, რა თქმა უნდა, მოველოდი ფაშიზმის გამარჯვებისადმი მიძღვნილ **სტატიას** და არც შევცდი. პირველ გვერდზე დიდი საბჭოთა პლაკატივით დაბეჭდილია სათაური: ,,**9 მაისი ყველა ჩვენგანის გამარჯვების დღეა**“. სხვათა შორის, სტატიის დასაწყისი საინტერესოა, ვინაიდან შესავალში ავტორი იხსენებს „საქართველოს რესპუბლიკაში“ სამჯერ მიყოლებით დაბეჭდილ გრიგოლ ონიანის მიმართვას. 6 მაისს ზუსტად დღის 3 საათზე სრულიად შეივსო რუსთაველის თეატრის დიდი დარბაზი. არ უჩიოდა დარბაზი რეგიონიდან და მათ შორის, ჩვენი რეგიონიდან ჩასულთა სიმრავლეს. შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა აჭარის კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა და საერთაშორისო ორგანიზაცია ,,სტალინის“ აჭარის განყოფილების თავჯდომარემ თეიმურაზ სამნიძემ. სტატიაში დაბეჭდილია გრიგოლ ონიანის მიმართვაც, რომელიც მან 6 მაისს მის მიერ დაანონსებულ და ორგანიზებულ საღამოზე წარმოთქვა. ,,უფლებას

ვაძლევ ჩემს თავს, რომ მოგილოცოთ ეს არნახული გამარჯვების დღე. 2 მაისიდან 9 მაისამდე გამარჯვების დღეებს ვულოცავდი საბჭოთა კავშირის ხალხს, რომლებიც მონაწილეობდნენ საყოველთაო სახალხო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ“. მიმართვა გაგრძელდა სხვა ღვაწლმოსილი ქართველების მხრიდან სტალინის ქებით, დღის მნიშველობაზე საუბრით, თუ როგორ მივედით დიად გამარჯვებამდე და როგორ იხსნა ჩვენი ქვეყანა იოსებ სტალინმა მოკავშირეებთან ერთად შავი ჭირისგან. ბოლოს ჩემთვის სამწუხარო იმედით სრულდება სტატია. ,,მრავალ ჭირნხახულ ადამიანთა გვერდით დარბაზში ბევრი იყო ახალგაზრდა, რაც მომავლის რწმენას კიდევ უფრო ამძაფრებდა“.

11-12 მაისი

ნიუსი: „26 მაისს უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი ვიზიტორებისთვის გაიღება.“

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით - კლდეში ნაკვეთი ქალაქის ტერიტორია, ტექნიკურ - საორგანიზაციო საკითხებიდან გამომდინარე, 26 მაისს დილიდან სამხედრო მოსამსახურეთა ფიცის დადების ცერემონიას დაეთმობა და ვიზიტორების მიღებას 1 საათის შემდეგ შეძლებს.

17 მაისი

ნიუსი: „საყოველთაო ჯვრისწერა გორსა და მთელ საქართველოში“

საპატრიარქოს ინიციატივით, ყოველწლიურად წყვილები, რომლებიც არ არიან ჯვარდაწერილები, კათოლიკოს - პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, წელიწადში რამდენჯერმე საყოველთაო ჯვრისწერის ცერემონიალში მონაწილეობენ. წელს ქალაქ გორიდან დაიწყო საყოველთაო ჯვრისწერა, რომელიც ამ წელს უკვე მესამედ იმართება.

18-19 მაისი

სტატია: „ოჯახის სიწმინდის დღე საყოველთაო სიწმინდის დღეა.“

სტატია მოგვითხრობს, როდიდან და ვისი ძალისხმევით დაწესდა ოჯახის სიწმინდის დღე და რატომ გახდა საჭირო მისი დაწესება 2013 წლის მოვლენებიდან ერთი წლის თავზე.

2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის წინაღმდეგ გამართული დღის აღსანიშნავად გამოსულ სამოქალაქო აქტივისტებს, სასულიერო პირებთან ერთად, გარკვეული დაჯგუფებები ფიზიკურად გაუსწორდნენ, რაც მასშტაბურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით დაწესდა ოჯახის სიწმინდის დღე, რომელიც ყოველ წელს აღინიშნება. ამ დღეს თბილისში მოწყობილ ღონისძიებებზე გვიყვება ავტორი, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ მას რეგიონებიც შეუერთდნენ. ოჯახის სიწმინდის დღე აღნიშნეს გორშიც. ბიუჯეტიდან დახარჯული 3 600 ლარით გორის ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქუჩის მუსიკოსების, აჩიკო ნიჟარაძისა და ნათელა პერანიძის კონცერტი გაიმართა. ამასთანავე, ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ გორის მერიისა და ჩოხოსანთა წარმომადგენლები, რომლებმაც დღის მნიშვნელობასა და ოჯახის სიწმინდეზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს.

26 მაისი

სტატია: „ქართველთა უპირველესი დღესწაული.“

სტატია ჩვენს წარსულ და ნანატრ დამოუკიდებლობას გვახსენებს, ეს იყო საქართველოს სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე პირველი ნაციონალური, დემოკრატიული სახელმწიფო, მანამდე, როგორც ვიცით, გაერთიანებული სახელმწიფოს მეფეებიც ასე იწოდებოდნენ ,,მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა“. ავტორი გვამცნობს, რომ მართალია, დამოუკიდებლობამ 3 წელს გასტანა, მაგრამ ამ სამ წელს ჩვენი ისტორიის ოქროს ხანად მოიხენიებენ. მშრალი იყო ჩემთვის 26 მაისის სტატია. არ იყო ინტერვიუ ისტორიკოსებთან, პოლიტოლოგებთან. არა და

მოგეხსენებათ, როგორ ელეგანტურს და მრავალფეროვანს ხდის ასეთი ჩართვები სტატიას. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ აღნიშნეს 26 მაისი თბილისსა და რეგიონებში. საკმაოდ დიდი დისკუსია მოჰყვა ღონისძიებებისათვის დახარჯულ თანხებს მედიაში. ,,ღარიბი სახელმწიფო დამოუკიდებლობის დღისთვის 5 მილიონს ხარჯავს“. არ უნდა გამორჩენოდა, ალბათ, ჟურნალიტს ამ ფაქტებისთვის ხაზის გასმა მაშინ, როდესაც: არასამთავრობოების ინფორმაციით, 26 მაისს გამარტივებულ შესყიდვებში 1,497,159 ლარი იხარჯება, მათ შორის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს 350,315 ლარის გამარტივებულ შესყიდვებს, თავდაცვის სამინისტრო 574,219 ლარის შესყიდვებს. ქილიკის ღირსია ჩვენი თავდაცვის სამინისტრო, ვინაიდან ყველაზე დიდ თანხას ხარჯავს და ესეც რეჟისორის, პროდიუსერისა და მოცეკვავეების დაქირავებაში. ტრიბუნა, სცენა და რეჟისორობა ყველა მთავრობისთვის მიღებული, თვალსაჩინო მარგალიტი იყო, საუბარიც ყველას ეხერხებოდა და ეხერხება, პიარი და მარკეტინგიც, თუმცა საკითხავია, დამოუკიდებელია კი საქართველო ? ალბათ, სწორად თქვეს: ,,ღარიბი და გაყიდულია საქართველო“.

28 მაისი

ნიუსი: იაგო ნებიერიძეს, გორში 8 წლის ნანიკო ბერიანიძის მკვლელობაში ბრალდებულს, უვადო პატიმრობა მიუსაჯეს.

30 მაისი

ნიუსი: უბედური შემთხვევა სოფელ ნაწრეტში.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაწრეტში ცოლ-ქმარი საკუთარ ოჯახში გარდაცვლილი იპოვნეს. „ნიუსპოსტის“ კორეპონდენტის ცნობით, ადგილზე სამართალდამცავები მუშაობენ. გამოძიება 240 პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით

მიმდინარეობს, რაც ელექტრო ან თბოენერგიის გაზის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მოჰყვა 2 ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2019 წლის მარტი - მაისი

4-10 მარტი.

ინტერვიუ: „მამალოების პატარა მწარმოებელი დიდ ბიზნესში ერთვება“

11 წლის გიორგი შეშაბერიძე გორის მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლეა, რომელიც თავისი ხელით დამზადებულ მამალოებს მაღაზიებში აბარებს. ინტერვიუში გიორგი გვიყვება თავისი ოჯახის სიღარიბეზე, რამაც მამალოების კეთება გადააწყვეტინა და იდეაზე, რომელმაც მისი ოჯახი სიღარიბისგან იხსნა.

„კვირის პალიტრა“ არ გამოირჩევა შიდა ქართლის პრობლემატიკისადმი განსაკუთრებული ინტერესით, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტს კარგად აქვს დაჭერილი ერთი ნიუანსი. პატარა გიორგიმ თავის მამალოებს მიაკრა სტიკერები, წარწერით „STOP RUSSIA“ და სურვილი აქვს, რომ მისი მამალოები საზღვრისპირა სოფლებში გაიყიდოს. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 11 წლის ბავშვი, გარდა გაჭირვებისა, აცნობიერებს ჩვენი საზოგადოების მტკივნეულ თემას - ოკუპაციას. ინტერვიუ პატარა ბიჭზე გვიყვება, თუმცა ავტორი ლირიული გადახვევით, მაინც საუბრობს იმ პრობლემაზე, რაც ყველას, დიდსა თუ პატარას აწუხებს, ან უნდა აწუხებდეს.

18-24 მარტი

სტატია: „ხურვალეთის სახიფათო მხურვალება“

სტატია რუსი სამხედროების მიერ საზღვრის გადმოკვეთის კიდევ ერთ ფაქტზე მოგვითხრობს. 15 მარტს სოფელ ხურვალეთის განაპირას, შეიარაღებული ნიღბიანი პირები გამოჩდნენ. სოფლის მოხუცთა თავშესაფრის ხელმძღვანელმა ლუდა სალიამ

გამოაქვეყნა ფეისბუქში პოსტი, რომ რუსი ოკუპანტები ქართველთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდნენ. ამას მოჰყვა პანიკა სოციალურ ქსელში. შორიდან ბჭობა და განსჯა, რაც ყველაზე უკეთ გამოგვდის. ფეისბუქი მოიცვა პატრიოტულმა კომენტარებმა, სადაც ყველა ქართველს გმირული სული ჰქონდა.

ანტისაოკუპაციო მოძრაობის „ძალა ერთობაშიას“ ლიდერმა დავით ქაცარავამ ხურვალეთში შესვლა სცადა, თუმცა იქ მობილიზებულმა სამართალდამცავებმა სოფელში შესვლის უფლება არ მისცეს. სტატიაში გადმოცემულია ქაცარავას, ადგილობრივი მოსახლეობის და სამხედროების პოზიცია.

ადგილობრივი მოსახლეობა უკვე გაბეზრებულია მუდმივ შიშში ცხოვრებით. კარს მომდგარ საფრთხეს კარგად აცნობიერებენ და რეაგირებას და დაცვას არა რომელიმე მოძრაობის წევრებისგან, არამედ სახელმწიფოსგან ითხოვენ. სამხედროების პოზიცია ლოგიკურია, ვინაიდან მაპროვოცირებელი ფაქტების არსებობას ერიდებიან იქ, სადაც კონფლიქტის ესკალაციას შესაძლოა, გაუაზრებელი შედეგი მოჰყვეს. თავად აქციის ლიდერის ქაცარავას პოზიცია, ფაქტობრივად, არ არის განხილული სტატიაში. ალბათ, ავტორმა თავი აარიდა, პირდაპირ ეთქვა, რომ ეს კაცი იმ დღით „ურა პატრიოტიზმმა“ მიიყვანა, მერე მთელს საქართველოს რომ ელაპარაკა, ნახეთ, მთავრობაზე მეტს ის აკეთებს და დიდია ამ კაცის გამბედაობაო. შეუძლებელია, აქ დიდი ილია ჭავჭავაძე არ მოვიშველიო, რომელმაც ერთ საახალწლო მილოცვაში ქვეყნის ჭირი ჩააქსოვა. ეს ჭირი განა დასრულდა?

„არ ვიცით - რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ - რანი ვართ, ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა, ხელი გვკრან - და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან

კი ყველა ტყუის. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ? [ი.ჭავჭავაძე 2012: 44]

დრომ და ჟამმა რომ უფრო შეგვავიწროვა ფაქტია. თხილის ნაჭუჭს დავემსგავსეთ, დღითიდღე რომ ვიწროვდება. თხრილშიც ერთმანეთის მიყოლებით ვყრით მოძმეებს და ტყავის დაგლეჯვასაც არ ვერიდებით. ნეტავ ამ ფონზე რა გადაგვარჩენს, ვინ გადაგვარჩენს? ანტისოკუპაციო მოძრაობა?, სააკაშვილი კიევიდან? თუ ჩვენი მთავრობა? საინტერესოა, რა გითხრათ ? რით გაგახაროთ ? ხურვალეთთან ისევ რუსები დგანან...

1-7 აპრილი

სტატია : ,, შეიქმნა სტალინის წინააღმდეგ, ჩააძინა გორბაჩოვ-ელცინმა, პუტინმა გამოაღვიძა.“

სტატია ნატოს შესახებ მოგვითხრობს. ,,ჩვენი იმედისა და მშველელის“ ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპებს გვახსენებს. სტალინის სატანკო არმიის ლა-მანშისკენ გაჭრის რეალური საფრთხის მოსაგერიებლად შეიქმნა 1949 წელს ნატო. ამას მოჰყვა 1955 წელს ნატოს საწინააღმდეგო ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო - პოლიტიკური ალიანსი. 1991 წლის თებერვალში ვარშავის პაქტის დაშლის გამო, ღირსეული მოწინააღმდეგის გარეშე დარჩენილმა ალიანსის წევრებმა კომუნისტური საფრთხე ჩავლილად ჩათვალეს და სამხედრო ხარჯების შემცირება დაიწყეს. ნატომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის გამო ტერორიზმთან ბრძოლა დაისახა მთავარ მიზნად, თუმცა რუსეთმა ისევ გააქტიურება დაიწყო და პუტინმაც გამოაღვიძა. რუსეთის არმია საქართველოში შემოიჭრა, თუმცა შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ რუსეთის არმიის საქართველოში შემოჭრა ნატოსთვის მკვეთრ სიგნალად ვერ იქცა. ალიანსმა ელვის სისწრაფით მხოლოდ ყირიმის ნახევარკუნძულის რუსული პრივატიზაციის შემდეგ დაიწყო ,,შეშმუშვნა“. რომ არა რუსეთის აგრესიული ქმედებები მეზობლების წინააღმდეგ, ნატო გამოღვიძებას დიდ დროს მოანდომებდა, იმ ფონზე, რომ ალიანსის წევრებმა სამხედრო ბიუჯეტის მთლიანი შიდა პროდუქტი 1%-მდე შეამცირეს, მაშინ,

როდესაც ორჯერ მეტია დასახარჯი მათი არმიის შესანახად. ჩემთვის გასაოცრად, საინტერესოა ხოლმე ჩვენი ომის გახსენება. რამდენადაც მტკივნეული, იმდენად საინტერესო. ვისი იმედი გვქონდა აბა ,,მაშინ", ვისი დახმარების? თუ ნატოს თავისი არმიისთვისაც კი ენანებოდა ამ დროს ფული, ჩვენთვის ჯარს ან ფულს გაიმეტებდა? უთანასწორო ომს რომ შორიდან შეშფოთება ვერ უშველის, ეს კი ნამდვილად ვნახეთ.

პატრიოტიზმის გრძნობა წინ ვერ დაუდგა კასეტურ ბომბებს, ვერც ის ადამიანები დაბრუნდნენ სახლებში, დღეს ფოტოებიდან რომ იხსენებენ საკუთარ ეზოს და მიწა - წყალს. რუსული ტანკების წინაშე ჩვენს ხელისუფლებას შინდისის გმირებისნაირი ქართველი სამხედროები ჰყავდა გაგდებული ველად და სად იყო ამ დროს ის საერთაშორისო ორგანიზაცია, დღეს რომ ვეთაყვანებით? ფულს ზოგავდა თურმე?!

13-19 მაისი

სტატა: „9 მაისი საქართველოში"

სტატია მოგვითხრობს, თუ როგორ აღნიშნა საქართველომ ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავი. 9 მაისის აღსანიშნავად გამოსული მოსახლეობა 3 ნაწილად გაიყო. ომის ვეტერანები დილიდანვე შეიკრიბნენ, როგორც თბილისში, ვაკის პარკთან, ისე გორში. სტატიაში არ არის აღნიშნული, მაგრამ სტალინის სახლ - მუზეუმთან შეკრებილმა ვეტერანებმა ბევრი ისაუბრეს დიდი ბელადის ღვაწლსა და ძეგლის დადგმის აუცილებლობაზე.

კიდევ ვის გაუჩნდა 9 მაისს პოზიციის გამოხატვის სურვილი? ზემოთ აღღნიშე, რომ საზოგადოება სამ ნაწილად გაიყო. ვეტერანებს ზეიმი არ დასცალდათ, მოქალაქეების ერთი ნაწილი სლოგანით ,,არა პუტინის მარშს" ჭავჭავაძის გამზირიდან ვაკის პარკში მივიდა და უცნობი ჯარისკაცის ძეგლთან განლაგდა. ისინი საქართველოში პრორუსული ძალებით გამართული „უკვდავი პოლკის მსვლელობას" აპროტესტებდნენ, ხოლო „უკვდავი პოლკის" მესვეურები ვაკის პარკში წითელი დროშებითა და სტალინის პორტრეტებით გამოჩნდნენ. ამას მოჰყვა დაპირისპირება, რომლის დროსაც რამდენიმე მოქალაქე დააკავეს.

ბედნიერი ერი ვყოფილვართ ქართველები. გაერთიანებულს, გამთლიანებულს, ძლიერს და გამყარებულს, რაი გვადარდებს? სწავლულს და შორსმჭვრეტელს რა შეგვეშლება? სტალინის მოწონებაზე კამათის გარდა, გასახსენებელი რა დაგვრჩენია ისტორიის არმქონე ქართველებს?! ვაი, უბედურო საქართველო.

მრავალჯერ დამოწმება გამომდის ილია ჭავჭავაძის, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ილია ჭავჭავაძე მის თანამედროვე საქართველოს უსახავდა ძალიან კონკრეტულ ამოცანას – ახალ საერთაშორისო სინამდვილეში ქართველი ერი საკუთარი „ისტორიის ღირსიც“ უნდა გამხდარიყო და სხვა მოწინავე ერებისგან განვითარების გამოცდილებაც აეთვისებინა. ილია საკუთარ ხალხს ასწავლიდა: ერთიანობას, თავისუფლებას, ახალი სინამდვილის გაცნობიერებას, თანამედროვე მსოფლიოში საკუთარი ადგილისა და ხმის მოპოვებას. მან ყველაზე ნათლად დაანახა ქართველებს, თუ რის საფუძველზე უნდა გამთლიანებულიყვნენ; როგორ უნდა გაეაზრებინათ წარსული, როგორ შეძლებდნენ, შეეცვალათ საკუთარი სინამდვილე და შეექმნათ მომავალი.

ვერ შევქმენით.

20-26 მაისი

ნიუსი: „სტიქია აღმოსავლეთ საქართველოში“

გადაუღებელმა წვიმამ პრობლემა შეუქმნა აღმოსალეთ საქართველოს და განსაკუთრებით კახეთს. ნიუსი მხოლოდ კახეთის პრობლემას გვამცნობს, მაშინ, როდესაც ძლიერმა სეტყვამ დააზარალა გორის მუნიციპალიტეტის 15 სოფელი. სტიქიის შედეგად დაზარალებულმა მოსახლეობამ, სოფელ სვენეთთან საპროტესტო აქცია გამართა. შვიდი სოფლის მოსახლეობა ზარალის ანაზღაურებას და სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეხვედრას ითხოვდა. აქციის მონაწილეებს გზის გადაკეტვაც სურდათ, თუმცა მათ ამის საშუალება სამართალდამცველებმა არ მისცეს. ადგილზე იმყოფებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერი კოტე თავზარაშვილიც. გორის მუნიციპალიტეტის, მერსა და აქციის მინაწილეებს შორის სიტყვიერი დაპირიპირებაც მოხდა. საბოლოოდ,

მოსახლეობა დასთანხმდა, რომ იმ დღით მაგისტრალის გადაკეტვა შეეწვიტათ და სოფლის მეურნეობის მინისტრთან საღამოს უფრო მშვიდ ვითარებაში ესაუბრათ. არც აღნიშნული ფაქტი და არც შემდეგ განვითარებული მოვლენები არ არის ასახული ნიუსში და ჟანრის თავისებურებებიდან გამომდინარე, ნიუსს მეტს ვერც მოთხოვთ.

,,ტურისტების პოლიტიკური მიმომხილველი და გიდებით ,,აოხრებული" თბილისი."

ეს **სტატია** მოგვითხრობს ტურისტების ნაკადის ზრდაზე თბილისში და გიდებზე, რომლებიც არასწორად უხსნიან ობიექტების ისტორიას უცხოელ ტურისტებს.

ჩემთვის საინტერესო პრობლემატიკის რა იყო სტატიაში? გაგიკვირდებათ და სტალინი. სტატიის ავტორი გაესაუბრა ძველ თბილისში მომუშავე გიდებს. ერთ-ერთი მათგანინ - ლაშა მაისურაძე აცხადებს:: ,,ტურისტების მასობრივი შემოსვლა საქართველოში მარტიდან იწყება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება. ძირითადად, ჩინელებთან მიწევს მუშაობა და ჩინელებს საქართველოში ყველაზე მეტად სტალინი აინტერესებთ. ახლაც დიდი ჯგუფი სწორედ გორში სტალინის სახლ - მუზეუმში იმყოფება, გორის შემდეგ ისინი ყაზბეგში მიდიან და ზაფხულში თოვლიანი მთების ნახვა უხარიათ".

შიდა ქართლი უდიდესი ტურისტული პოტენციალის მქონე რეგიონია. ქვეყნის ისტორიას ინახავს, საბრძოლო დიდების მუზეუმი, ეთნოგრაფიული მუზეუმი. სასწაულია უფლისციხე, რომელიც იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაშია, ატენის ხეობა, ბოშურის ხეობა, გაყინული ჩანჩქერი და კიდევ რა ჩამოთვლის შიდა ქართლის ღირსშესანიშნაობებს და ამ ყველაფრის მიუხედავად, ვიღებთ რას? ტურისტებს ყველაზე მეტად სტალინი აინტერესებთ.

სტატია: ,,რამდენად უსაფრთხოდ იკვებებიან და როგორ გარემოში არიან ბავშვები ბაგა - ბაღებში".

საბავშო ბაღები ბოლო დროს აქტუალური თემაა, ვინაიდან ბაგა - ბაღებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ბავშვთა აღზრდის, ასევე კვების პროცესს. საკვები პროდუქტების უხარისხობის გამო, თბილისის ბაგა - ბაღების

გაერთიანებამ, სადისტრიბუციო კომპანია ,,ნილსს“ ხელშეკრულება შეუწყვიტა ვინაიდან ვერ შეძლო გაერთიანების მიერ მიცემული შენიშვნების გამოსწორება და ხარვეზი ხარვეზად დარჩა. გასაკვირია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტმა სტატიაში მხოლოდ თბილისის ბაგა - ბაღების მაგალითზე დაგვანახა რეალობა, მაშინ როდესაც რეგიონები არანაკლები პრობლემების წინაშე დგანან.

მიუხედავად ჩემი ანტიპათიისა ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ის მიმართ, მაინც გავიხსენებ გიორგი გაბუნიას ,,ჯამბაზურ“ ეთერში გასულ სიუჟეტს, გორის რაიონის ერთ-ერთი სოფლის ბაგა - ბაღთან დაკავშირებით.

სიტუაცია მიმდინარეობს სოფელ ზერტში, სადაც სამჯგუფიანი ბაგა - ბაღი კერძო სახლის მე-2 სართულზე შეასახლეს, რადგან მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო ბაღის ძველი ავარიული შენობის რეაბილიტაცია. ეს არ არის მთავარი პრობლემა. მთავარია პირობები, რომელშიც ბავშვები იზრდებიან. არ დავმალავ, აქაც სტალინის ხსენება არ მინდოდა, მაგრამ ოჯახი, რომელიც ბაგა - ბაღის სახლს აქირავებს, სტალინის მოტრფიალეა, ამიტომ საბჭოთა კავშირის ლოზუნგებით და დიდი ბელადის პორტრეტით არის დამშვენებული ბაღის ფასადი. ბაღს არა აქვს კეთილმოწყობილი საპირფარეშო, ის კი არა, საერთოდ არ აქვს საპირფარეშო. არ არსებობს ბავშვებისთვის განკუთვნილი შესაბამისი ქოთნები, ამიტომ თანამშრომლების გადაწყვეტილებით, საპირფარეშოს ფუნქციას პატარებისთვის სათლები ასრულებს. თავიდან მეგონა, მომესმა და ეს რეალობასთან შეუსაბამო ფაქტი იქნებოდა, რომელიც ისევ „რუსთავი 2-ის“ ბუნებიდან გამომდინარეობდა, თუმცა სამწუხარო რეალობის წინაშე აღმოვჩნდი, როდესაც გორის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორმა, რუსუდან კოვზიაშვილმა ეს ფაქტი დაადასტურა. საინტერესოა, სად იყო ამ დროს ამ სფეროს მაკონტროლებელი ორგანო, როდესაც კოვზიაშვილისგან არაადეკვატური და შეუსაბამო პასუხი მივიღეთ: ,,ბაღის აუცილებლობის წინაშე დავდექით, ვერ ვიქირავეთ სხვა ფართი“. კითხვაზე რატომ სათლები? პასუხად მივიღეთ: ,,მშობლებს არ მოუთხოვიათ ქოთნები, თორემ შევუძენდით."

პრობლემა როგორ დავარქვა ამ საკითხს, უფრო ტკივილია სწორი ფორმა. ჩვენი ტკივილი და სირცხვილი. უნდა გვეტკინოს, გვეტკინოს ფაქტი, რომელიც ჩვენი

რეალობაა, რომელიც კონფლიქტის პირას მდებარე სოფელში ხდება და ფაქტი, რომელიც არა მხოლოდ რეგიონის, არამედ სრულიად საქართველოს განხილვის საგნად იქცა.

დასკვნა

ტელევიზიისა და სოციალური მედიის გამოჩენამ, გაზეთი მისი მთავარი ფუნქციის - ოპერატიულობის გარეშე დატოვა. ამის მიუხედავად, გაზეთის მიმათ ინტერესი და დამოკიდებულება არ შეცვლილა და გაზეთმაც იპოვა გამოსავალი. ოპერატიულობა ჩაანაცვლა მსჯელობით და ანალიზით. შესაბამისად, გაზეთში მუდმივად ველოდებით ფაქტების ანალიზსა და უფრო სიღრმისეულად განხილვას. იმისათვის, რომ გაზეთმა არ დაკარგოს მკითხველი და არ დარჩეს სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინტერესს მიღმა აუცილებელია, რომ იგი ყოველთვის იყო აქტუალური თემებით დატვირთული. საინტერესო, არა მხოლოდ სპეციალიზებული აუდიტორიისათვის, არამედ მასობრივი მკითხველისათვის.

ჩვენს მიერ შესწავლილი სამი გაზეთიდან: ერთი ტრადიციული და აკადემიურია- ,,საქართველოს რესპუბლიკა", მეორე, ,,ალია" - ყვითელი პრესის ლიდერი, მესამე - ,,კვირის პალიტრა", რომელიც სადღაც შუაშია, თუმცა სოლიდურობა და აკადემიურობა ნამდვილად არ აკლია.

გაზეთი ***„ალია"*** ხასიათდება ყვითელი პრესისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებით. ამაზე პუბლიკაციათა სათაურებიც მიგვანიშნებენ: ,,როდის იწყებს სანდრა რევოლუციას?" ,,შიდა ომები ოცნებაში", ,,რა ფარული გეგმები აქვს ნაციონალურ მოძრაობას?" ,,ასე ბნელა, ქართველებო?" ,,სამეფო კარის თამაშები ოცნებაში"...

რა არის ძირითადი პრობლემატიკა? რა აწუხებს გაზეთს? წუხილისა რა მოგახსენოთ, უფრო ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების" პარტიულ დაპირისპირებას ბეჭდავს. დიდ ყურადღებას არ უთმობს ეროვნულ თემებს. თუმცა, სამართლიანიბა მოითხოვს, ვაღიარო, რომ შემხვდა რამდენიმე სტატია, რომელიც არ ხასიათდებოდა ყვითელი პრესისთვის დამახსიათებელი თვისებებით, განსაკუთრებით მომეწონა ,,ბედნიერი ერის უბედური სამშობლო", რომელშიც ავტორი ზუსტ აქცენტებს სვამს პრობლემაზე, რომელიც ყველას გვაწუხებს.

რაც შეეხება შიდა ქართლის პრობლემატიკას, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ გაზეთი, საერთოდ, რეგიონებს დიდ ყურადღებას უთმობდეს. აშკარად ჩანს, რომ ეს

საკითხი უმნიშვნელოა მისი სარედაქციო პოლიტიკისთვის. აქედან გამომდინარე, იშვიათად გვხვდება ნიუსები და სტატიები, რომლებიც შიდა ქართლს ეხება.

,,საქართველოს რესპუბლიკა“ - განხილულ გაზეთთაგან, ის ყველაზე სიღრმისეულად ეხმაურება ჩვენი ქვეყნის პრობლემებს. ჩანს, სარედაქციო კოლეგია აშკარად იაზრებს გაზეთის სახელს, რომ იგი საქართველოს რესპუბლიკის პრობლემებს უნდა ასახავდეს და ეს ასეცაა. ბუნებრივია, რომ დომინანტია პოლიტიკის თემა, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ რედაქცია ზოგიერთ ნომერში თითქოს სწორ გზას კარგავს. გზას, რომელზეც გავლა უწევთ, მე უფრო ,,ბეწვის ხიდს“ ვუწოდებდი, ვინაიდან, შეუძლებელია, „საქართველოს რესპუბლიკა“ წაიკითხო და არ იფიქრო: ,,ნეტავ რედაქციას რა უფრო აინტერესებს - ოკუპაცია და მავთულხლართები თუ სტალინის ძეგლის პრობლემა? განხილულ ნომრებში დიდი იმედით ვეძებდი შიდა ქართლის რეგიონის მწვავე პრობლემებს: ოკუპაცია, გაჭირვება, უგზოობა, უწყლობა, სარწყავი არხები, დაცლილი სოფლები, სტიქიის მიერ განადგურებული მოსავალი, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, ტრიალებდა სტალინი. რატომ სტალინი ? იქნებ გაზეთის სარედაციო საბჭოს წევრთაგან ბევრი ყოფილი სტალინელია? ან უბრალოდ უყვართ დიდი ბელადის კულტის წინ წამოწევა, ან უბრალოდ თვლიან, რომ დიახ სწორედაც, რომ უპირველესი პრობლემა სტალინის ძეგლის ჩამოგდება და მისი უპატივცემულობაა. დაბეჭდილ სტატიებს ვერ დავუწუნებთ ვერც პროფესიონალიზმს და ვერც ჟურალისტურ საკითხთა არცოდნას დავაბრალებთ. მხოლოდ რედაქციას შეიძლება შევედავოთ და დავუწუნოთ მიმართულება, რომელიც ქართულ რეალობას არ და ვერ ასახავს. ის უბრალდ შეცვლას და გადახალისებას მოითხოვს სტალინის კულტის გარეშე.

რაც შეეხება *„კვირის პალიტრას“* - ხშირად მესმის, რომ ის ყველაზე დაბალანსებული და ყოვლისმომცველი გაზეთია. არ დავმალავ, მეგონა, ყოვლისმომცველობაში, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენის განხილვა იგულისხმებოდა, თუმცა შევცდი. ის ფაქტი, რომ სამი თვის განმავლობაში გაზეთი მხოლოდ 4-ჯერ შეეხო შიდა ქართლის პრობლემატიკას, თავისთავად ნაკლოვანებაზე მიგვითითებს. გაზეთის ყოვლისმომცველობა, ალბათ, აიხსნება იმ ფაქტით, რომ იბეჭდება სტატიები პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, განათლებაზე, კულტურაზე,

სპორტზე... არის გასართობი გვერდებიც და სარეკლამო სივრცეც გამოყოფილი და ათვისებულია. აღსანიშნავია, რომ „კვირის პალიტრაში“ პრობლემები განხილულია ზოგად ჭრილში და გაზეთი ნაკლებად ინტერესდება რეგიონში მიმდინარე ამბებითა და სიახლეებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ალია“, თბილისი, 2019წ. III
2. „ალია“, თბილისი, 2019წ. IV
3. „ალია“, თბილისი, 2019წ. V
4. „კვირის პალიტრა“, თბილისი, 2019წ. III
5. „კვირის პალიტრა“, თბილისი, 2019წ. IV
6. „კვირის პალიტრა“, თბილისი, 2019წ. V
7. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 2019წ. III
8. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 2019წ. IV
9. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 2019წ. V
10. დეფლორი მ., დენისი ე., „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის“, თბილისი, 2009წ.
11. ჭავჭავაძე ი., „მგზავრის წერილები“, „პროზა“, თბილისი, „პალიტრა L”, 2012წ., გვ. 117-143
12. ჭავჭავაძე ი., „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, „პუბლიცისტიკა“, „პალიტრა L”, 2012წ., გვ. 44-44
13. ჭავჭავაძე ი., „ქვათა ღაღადი“, „პუბლიცისტიკა“, „პალიტრა L”, 2012წ., გვ. 166-279
14. ჭუმბურიძე ი., „თანამედროვე ქართული პრესის ძირითადი ტენდენციები“, „ავტორეფერატი“, თბილისი, „ინტელექტი“, 2006წ.
15. ჭუმბურიძე ი., „ჟურნალისტიკის შესავლის საკითხები”, თბილისი, „უნივერსალი“, 2012წ.
16. ტ. რეპკოვა, ახალი დროება, პროფესიული გაზეთის შექმნა..,თბ., 2006;
17. მ.ვეკუა, ჟ.რუე(იდეის ავტორები), ჟურნალისტიკა, თბ., 2013;
18. ი. ჭუმბურიძე, ანალიტიკური ჟურნალისტიკის საკითხები, თბ., 2018;
19. ბ. კოვაჩი, ტ. როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ., 2006.